# ჩანგი

№ 2

სამშაბათი, 23 ივნისი, 1909 წ.

გაზეთი ღირს: ქალაქ გარეთ: წლით 7 მან., ნახევარი წლით 4 მ., სამი თვით 2 მან. 50 კ. ერთი თვით—90 კ. თფილისში: წლით 7 მან., 6 თვით—4 მან., 3 თვით—2 მან. 20 კ., ერთი თვით—80 კ. გამოწერა შეიძლება თვის პირველ რიცხვიდან. განცხადების ფასი: ჩვეულებრივი პეტიტონი პირველ გვერდზე ღირს 15 კ., უკანასკნელზე—10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ სალამოს 5 ს-მდე 3 მან., ხუთი საათის შემდეგ—მეტი. ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება რედაქციის კანტორაში ყოველდღე, დილის 9 ს. სადამოს 2 საათამდე და სალამოს 5—6 საათამდე. კვირა-უქმეებში დილის 11—12 საათამდე. ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს რედაქცია არ ინახავს და მათ შესახებ არავითარ მიწერ-მოწერას და მოლაპარაკებას არ კისრულობს. ინახება ერთი თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პრინციპიალურ წერილებზე გონორარის შესახებ საჭიროა წინდაწინ მოლაპარაკება. წერილობით პასუხისათვის საჭიროა საფოსტო მარკები. წერილები სუფთათ უნდა იქნეს დაწერილი ცალ გვერდზე და ავტორის სრული ვინაობით. რედაქცია საჭიროთ დაინახავს, წერილს შეასწორ-შეამოკლებს. ადრესის გამოსაცვლელათ საჭიროა ორი აბაზი. ფულის გამოსაგზავნი ადრესი: Тифлисъ, типографія „Сорапань“, Семену Ивліановичу Цхомелидзе.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი



## ჩანგი

გამოდის ყოველ-დღე, გარდა კვირა-უქმის მეორე დღეებისა

გაზეთი ღირს:

როგორც თფილისში ისე თფილისს გარეთ ერთი წლით 7 მან., ნახევარი წლით 4 მან.

| ქალაქ გარეთ | თფილისში |
|---|---|
| 3 თვით—2 მან. 50 კაპ. | 3 თვით—2 მან. 20 კაპ. |
| 1 „ — — 90 „ | 1 „ — — 80 „ |

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველ რიცხვიდან

ცალკე ნომერი ყველგან— ერთი შაური



ერასტო, ილარიონ და ირინე ტოროტაძენი, კლისტატე და არტემ სიხარულიძენი გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ უდროვოთ გარდაცვალებას: პირველი საყვარელი მეუღლისა, მეორენი რძლისა და დანარჩენი დისას

### ფოტინე ანტონის ასულის ტოროტაძისას

ცხედარს გამოასვენებენ ოლგას საბებიო ინსტიტუტიდან და წაასვენებენ რკინის გზის სადგურზე ორშაბათს, 22 ივნისს, იქიდან წაასვენებენ სოფელ ქანჭათში, სადაც დაკრძალავენ ხუთშაბათს, 25 ივნისს. (2—1)



### აგარაკი ბახმარო
(ოზურგეთის მაზრა)

27 ვერსტზე ს. ვაკიჯვრიდან აჭარა-გურიის მთებზე

ამა წლის 25 ივნისიდან დაიწყებს მოქმედებას საზოგადოების სახლში სუფთად მოწყობილი სასადილო, საზოგადოებისავე საბაკალეინო დუქანი, ფურნეები და ხორცის დუქანი. ფასები როგორც სასადილოში, აგრეთვე საზოგადოების სხვა დუქნებში დაწეულია მინიმუმამდე და უზრუნველყოფილია პირობით. საზოგადოდ ფასი ყოველგვარ სანოვაგეზე მომხმარებელ დუქნებში ძალიან დაკლებულია. ზემოთ აღნიშნული რიცხვიდან დაიწყებს მოქმედებას საზოგადოებისავე კეგლი. სეზონის განმავლობაში დაიდგმება რამოდენიმე წარმოდგენა. ჟურნალ-გაზეთებისა და კორესპონდენციების მიღება-გაგზავნა უზრუნველყოფილია. გზის შეკეთებას უკვე შეუდგა საზოგადოებები. 3—3



გაიხსნა ახალი
თფილისის
### კერძო სამკურნალო
(ამბულატორია)

ღიაა ყოველ დღე მოსიარულე ავათმყოფთათვის. ვაგზლის ქ., № 8; ს. ენფიანჯიანცისა (ტელეფონი 695).

ექ. ი. გ. ფედოროვა: ყოველ დღე, გარდა ოთხშ. და კვირისა 11—12 საათამდე შინაგანი და ბავშვებისა.

ექ. ვ. ლამბაშიძე: ყოველ დღე, კვირა დღის გარდა 12—1 ს. შინაგ. და ბავშვ. ავათმყ.

ექ. ზ. ა.ი პოპოვი: ყოველ დღე ხუთშაბათს გარდა კვირსა 12—1 ს.; ყმელის, ცხვირის და ყურის ავათყ.

ექ. ზ. მ. მაკაროვი: სამშ. და პარ.; 1—2 ს.; შინაგან და ავათმყ.

ექ.ა. ნ. დიხამიძე: ყოველ დღე $11^1/_2$—$12^1/_2$ ს.; სიფილ., ვენ. და კანის ავათმყ.

ექ. ნ. მ. მელიქიშვილი: ყოველ დღე; 1—2 ს; დედათა და ქირურგ. ავათმყ.

ექ. ი. გომართელი: ყოველ დღე, 2—3 ს.; შინაგან და ბავშვ. ავათმყ.

ექ. ვ. ხ. მუსხელიშვილი: ყოველ დღე, კვირა დღ. გარდა 2—$2^1/_2$ ს.; თვალის ავათმყ. სადამოთი

ექ. ა. გ. მირზოევი: ყოველ დღე, გარდა კვირისა 3—6 ს. შინაგ. და ბავშვ. ავათმყ.

ნ. გ. ჭიჭინაძე: ყოველ დღე, გარდა კვირისა 6—7 ს.; შინაგ. და ბავშვ. ავათმყ.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი, აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძათ გასინჯვა.

ფასები რჩევისათვის 50 კაპ., ოპერაციები და კონსულტაცია მორიგეობით.

ამ მოკლე ხანში გაიხსნება სტაციონალური განყოფილება 30 საწოლით. 0—50



### აბასთუმანში
კბილის ექიმი
✦ სამსონ ვაშაყმაძე ✦

იღებს ავათმყოფებს ყოველდღე მარიამობისთვის გასვლამდე. დაჩა ტერ-მარკაროვისა № 42.



დ. სურამში.
კბილის ექიმი
### ლორის-მელიქოვი

ღებულობს ავათმყოფებს. დილის 10—2 ს. სადამოს 4—6 საათ.

ადრესი: ნებიერიძის სახლი. სადგურის ახლო.



ქუთაისში
ექიმი კ. ტ. ტყეშელაშვილი

იღებს შინაგან და სპეციალურათ ვენერიულ სნეულებით ავათმყოფთ (სიფილისი, სუსუნატი, საშარდე მილის ბუშტის და თირკმლების სატკივარი (თფილისის ქუჩა ფირალოვის სახლი (ქარხანა).



დაჯილდოვებულია
დიდი ვერცხ. და ოქროს მედ.
მეტათ კარგი ღირსებისათვის
### ნაცრო-ლიჭევოს წყალი
ზემშლდის ძველი ზავოდის

თფილისი, ველიკოკნიაჟ. 40, ტელეფონი 216. საუკეთესო საშუალება კუჭის კატარის და ქვის, თირკმლების, ღვიძლის და შარდის ბუშტის ავათმყოფობის წინაამდეგ, აქრობს სიმჟავეს, ადნობს და სწმენდავს ქვას და ქვიშას.

ფასი სამკურ. წყ. ბოთ. 18 კ. იქვე ობერზალცბრუნ., გუნიადი-იანოს, ემსკის და აგრეთვე სელტერსკი, სოდის და ყველა ხილეულობის წყლები.

!!!გაფრთხილება!!!

ჩვენ მოგვარეთა და ყალბი იარლიკების გასარჩევათ ვთხოვთ მოითხოვონ წარწერა ყველა იარლიკზე. დიდი „ვერცხ. და ოქროს“ მედლები და ზავ. მარკა გემი „ისკარი“. (20—4)



### აგარაკი ზაქურიანი

ივანე მიქაბერიძის სახლში გაიხსნა სასტუმრო სუფთა ნომრებით, აძლევენ სადილს ევროპიული და აზიური საჭმელებისაგან. მსურველნი მიიღებიან თვიურათ. სვიმონ მეგრელიშვილი. 10—7


## ქალაქის სასანიტარო გადასახადები.

—

თანამედროვე ინდუსტრიალურ-პოლიტიკურ ტენდენციების აღორძინებამ, როგორც მოსალოდნელი იყო, კომუნალური მართვა-გამგეობის (ქალაქის თვითმართველობის) სამოქმედო ასპარეზის გაფართოება გამოიწვია. უკანასკნელმა გარემოებამ კი თავის მხრივ შექმნა ქალაქის ფინანსიური ხარჯების გადიდება, რომელიც აუცილებლათ საჭიროა მის კულტურულ მოთხოვნილებით დასაკმაყოფილებლათ. რასაკვირველია, წინათ, საზოგადოების ეკონომიურ და სოციალურ განუვითარებლობის ხანაში, საერთოთ, როგორც კერძო პირის, ისე ჯგუფის მოთხოვნილებანი ძალიან მცირე და მარტივი იყო, ამისათვის მის დასაკმაყოფილებლათ თავისუფლათ ყოფნიდა თავისი პატარა შემოსავალიც.

მაგრამ მალე დრო და გარემოება არსებითათ შეიცვალა, საზოგადოების ეკონომიურმა და სოციალურმა განვითარებამ ძირითადი რევოლიუცია განიცადა. ძველ ურთიერთობის—ნატურალისტურის მაგივრათ წარმოიშვა ახალი ეკონომიური პირობები, გაჩაღდა თანამედროვე სავაჭრო-სამრეწველო ქალაქები, საზღაპროთ გაიზარდა მათი მცხოვრებთა რიცხვი, მოქალაქეთა რაოდენობა. ამ გარემოებასთან კი, როგორც ვიცით, მჭიდროთ შეკავშირებულია ქალაქის სახალხო ჰიგიენურ ბინების, გზების და სხვა მოთხოვნების წარმოშობა. ქალაქის ახალმა მოთხოვნილებებმა ერთობ გადააჭარბა მის ფინანსიურ შემოსავალს, რომელიც მას საზოგადოებრივ ქონებიდან შემოდიოდა. ასეთ პირობებში მყოფ საზოგადოებას წინ აუცილებელი პრობლემა დაესახა: როგორ დაიფაროს, ანუ სწორეთ რომ ვსთქვათ, როგორ დაკმაყოფილდეს საზოგადოების გართულებულ გაფართოებული მოთხოვნილებანი? როცა საზოგადოებას ახალ მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლათ თავის უძრავ თუ მოძრავ ქონების შემოსავალი არ ყოფნის, მაშინ მან იმავე ფინანსიურ საშუალებას უნდა მიმართოს, რომელსაც ჩვეულებრივ სახელმწიფო მიმართავს ხოლმე, რომ ამ გზით და ამ საშუალებით შეიძინოს თავისთვის საჭირო შემოსავლის წყარო. კომუნალური საზოგადოება, როგორც სახელმწიფო, თავის საზოგადოების წევრებიდან იღებს ანუ კრეფს „იძულებითი გადასახადს“, რომელიც მის მუდმივ და ახალ შემოსავლის წყაროთ ხდება. ამ შემთხვევაში კომუნალური საზოგადოება სავსებით ეთანასწორება სახელმწიფოს, პირველს ისეთივე ზნეობრივი და იურიდიული უფლება აქვს საზოგადოების წევრთ იძულებითი გადასახადი, იძულებითი ხარჯები დაადოს, როგორც მეორეს და ეს იძულებითი გადასახადებს ორივენი ასე თუ ისე საზოგადოების მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას ანდომებენ. ამ ჴორ ინსტიტუციის, იძულებითი გადასახადების არსებითი განსხვავება მხოლოდ იმაში გამოიხატება, რომ საზოგადოების გადასახადი ხდება ამა თუ იმ პირს, იმის მიხედვით თუ რამდენათ სარგებლობს იგი კომუნალურ დაწესებულებებით, კომუნალურ სოციალურ მოწყობილობით, სახელმწიფო გადასახადი შეძლების და გვარათ აქ ხარჯის გადამხდელი სახელმწიფოდან, გადასახადის ეკვივალენტს (სამაგიეროს) არ ღებულობს, მას მხოლოდ, როგორც ფინანსიური მეცნიერება ამბობს, გენერალურად (საერთოდ) უხდიან. მოკლეთ: კომუნალური გადასახადიდან ყოველი გადამხდელი სპეციალურ დაკმაყოფილებას ღებულობს, სახელმწიფოს გადასახადიდან კი საერთოს.

მართალია, ზოგიერთ შემთხვევაში, კომუნალური საზოგადოება, როგორც სახელმწიფო, ხარჯების გადამხდელთ გენერალურათ (საერთოთ) აკმაყოფილებს, საერთო სარგებლობას აძლევს, მაგრამ თვით ამ შემთხვევაშიაც კი, კომუნალურ საზოგადოების სხვადასხვა დაწესებულებებით, მისი კულტურული გაუმჯობესებით განსაკუთრებით, უმთავრესათ შეძლებული კლასები სარგებლობენ. მაგ. ქუჩების მოკირწყვლა-გაფართოებით, კანალიზაციით, ხიდების გაკეთებით, ელექტრონის და გაზის ცენტრალური სტანციების აშენებით, ტრამვაის გაყვანით და სხვა ასეთ ეკონომიურ-სოციალურ გაუმჯობესებით, მესაკუთრეების მამულების და სახლების ფასები მატულობს, რომელიც შემდეგში გირაოსა და მამულისრენტის სახით სახლის პატრონების და მემამულეების ჯიბეში ჩადის. მაშასადამე, როცა კომუნალური მართვა-გამგეობა, ამა თუ იმ კომუნალურ გადასახადს, საზოგადოების წევრებზე ანაწილებს, იგი უმთავრესათ ორი მთავარი პრინციპით უნდა ხელმძღვანელობდეს. ეს პრინციპები იმაში მდგომარეობს, რომ გაწერილი იქნას შეძლების და სარგებლობის მიხედვით.

აი, ამ ორ მთავარ პრინციპზე უნდა იყოს აშენებული ყოველივე კომუნალური გადასახადი, იქნება ეს გადასახადი ეკონომიური თუ ჰიგიენური მიზნით გაწერილი, ამ პრინციპებზე დაყრდნობილი მთელი ევროპის კომუნალური გადასახადების სისტემები. ამ პრინციპებით ხელმძღვანელობენ ყველა კომუნალური თვითმართველობების გამგე-პატრონები. ეს ისეთი ძრიელი და სამართლიანი პრინციპებია, რომ მას ვერ წაუვა ვერც ერთი ქალაქის ბატონ-პატრონი, თუ კი მასში ერთი ბეწვათ მაინც ღვივის სურვილი საზოგადოების უმრავლესობის ინტერესთა დაცვის. მთელს ევროპაში არ მოიპოვება არც ერთი კომუნალური დაწესებულება, რომელიც ამ პრინციპებით არ ხელმძღვანელობდეს. მხოლოდ ეს პრინციპი უარყოფილი და წიხლ ქვეშ გათელილია ჩვენ დიდებულ სახელმწიფოს კომუნალურ თვითმართველობებში. ოდესის კომუნალურ მართველობას, როგორც „ჭეშმარიტ რუსთა კავშირის“ ქალაქის გამგეობას ეკადრება, თავისებური ოინბაზობით დასახელებულ გადასახადის სისტემისთვის ხელი დაუფარებია და სახელდახელოთ განსაკუთრებული საქალაქო გადასახადი მოუგონია. თფილისის ქალაქის გამგეობას ქ. ოდესის კომუნალური გადასახადის სისტემა იდეალურათ მიუჩნევია და როგორც გაზეთები გვაუწყებენ, მოუსურვებია ამ სისტემის გადასახადების აქაც შემოღება. ქალაქის გამგეობის, საფინანსო ხალხის ჯანმთელობის კომისიების შეერთებულმა სხდომამ, ამბობს გაზეთების ქრონიკა, განიხილა სასანიტარო საექიმო ინსპექტორის მოხსენება, რომელიც თხოულობდა, ყველა სრულ წლოვან ქალაქის მცხოვრებს ყოველ წელს გადახდეს 1 მ. 50 კ. და ამ სახით შეგროვილი ფული, დაახლოვებით 300,000 მ. მოხმარდეს ქალაქის დასუფთავებას და სასანიტარო დაწესებულებათა შენახვას. ვამბობთ, ეს სულზე გადასახადი ისეთია, რომლის მსგავსი—გადასახადი არსად არ მოიპოვება და რომელიც სოციალ-პოლიტიკურ თვალსაზრისით ყოვლად შეუწყნარებელია. მაშ, როგორი სასანიტარო და ჰიგიენური გადასახადი არის ხალხის უმრავლესობისათვის სასარგებლო, ამაზე მომავალ წერილში ვილაპარაკებთ.

## დეპეშები
(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან)

12—22 ივნისი.

### სპარსეთი.

რუსეთის მთავრობამ სხვა სახელმწიფოთა მთავრობებს შემდეგი ცირკულიარული დეპეშით მიმართა: „რუსეთისა და ინგლისის რჩევით სპარსეთში წარმომადგენლობითი მმართველობის შემოსაღებათა და საჭირო რეფორმათა განსახორციელებლათ შახის მთავრობის მიერ მიღებულ ზომათა მიუხედავათ, ირანის ცენტრში რევოლიუციონური მოძრაობა არ სცხრება. რუსეთისა და ინგლისის მისიებმა თეირანში ზომები მიიღეს სატახტო ქალაქისკენ სერდარ ასად ხანის წინამძღოლობით ბახტიართა მოძრაობის წინაამდეგ, რომელთაც შემოუერთდენ კაზვინისა და რეშტის რევოლიუციონერები, აგრეთვე კავკასიის რევოლიუციონერები გილიანის გუბერნატორ სეპახდარის წინამძღოლობით, მაგრამ რუსეთისა და ინგლისის ზომებმა ვერ გასჭრეს და შახის მთავრობის მოწინააღმდეგეთა ლაშქარი თანდათან უახლოვდება თეირანს, სადაც უკვე იპოვებიან ისეთი ელემენტები, რომელნიც მზათ არიან მათ შეუერთდენ და სადაც, დღესაც დიდი მოძრაობაა. ამ გარემოებათა გამო შექმნილ პირობების განხილვის შემდეგ იმპერატორის მთავრობამ დაადგინა, რომ სპარსეთში მის პოლიტიკას საფუძვლათ უნდა დაუდვას სრულიად ჩაურევობის პრინციპი სპარსეთის შინაურ საქმეებში და შახის მთავრობასა და ხალხს შორის ბრძოლაში, როგორიც უნდა იყოს ამ ბრძოლის ბოლო. ამასთან ჩვენ არ შეგვეძლო მხედველობაში არ მიგვეღო, რომ თუ ბახტიარნი და რევოლიუციონერები თეირანში შევლენ რუსეთისა და ევროპის მისიები, აგრეთვე ჩვენ ენზელინ-თეირანის გზა მეტათ საშიშ მდგომარეობაში ჩავარდება, მით უმეტესს, რომ იმ ცნობებით, რომელიც ჩვენ ხელთა გვაქვს, შახის ერთათ ერთი მუდმივი ჯარი სპარსეთის კაზაკთა ბრიგადა დღეს იმდენათ დაუძლურებულია, რომ საეჭვოა თეირანში წესიერების დაცვა შესძლოს. ეს გარემოება ზნეობრივათ ვალდებულათ ხდის იმპერატორის მთავრობას ყოველნაირი ზომები მიიღოს, რომ საჭიროების დროს ზემოაღნიშნულ დაწესებულებათ და ქვეშევრდომთ ნამდვილი დახმარება აღმოეჩინოს, რომ თეირანსა და ენზელს შუა გზა ყოველთვის თავისუფალი დარჩეს. ამ მიზნით მან გადასწყვიტა დღესვე გაგზავნოს ბაქოდან ენზელში კაზაკთა ნახევარი ბათალიონი და ბატარეია. რაზმი კაზვინს იქით არ გადავა და კაზვინსა და კასპიის ზღვას შუა მიმოსვლას უზრუნველჰყოფს. შემდეგი მოძრაობა რაზმის ნაწილების გარემოებათაგან და თეირანში იმპერატორის მისიის ჩვენებისგან იქნება დამოკიდებული. რაზმის უფროს გარკვეული ინსტრუქცია მიეცემა. რაზმის მიზანია მხოლოდ დაიცვას რუსეთისა და უცხოეთის მისიები, დაწესებულებანი და ქვეშევრდომნი, ამასთან, იგი არ უნდა ჩაერიოს ამ ჟამათ სპარსეთში დატრიალებულ პოლიტიკურ ომში და საზოგადოთ, სპარსეთის შინაურ საქმეებში. რუსეთის ჯარები სპარსეთის საზღვრებში მანამდი დარჩებიან, სანამ სიცოცხლე და საკუთრება რუსებისა და სხვა სახელმწიფოების დიპლომატიურ წარმომადგენლობათა, დაწესებულებათა და ქვეშევრდომთა საკმაოთ უზრუნველყოფილი არ იქნება.

**თეირანი.** კუმიდან სერდარ ასადის წინამძღოლობით ბახტიარები გაემართენ. იმის წინააღმდეგ თეირანიდან გაგზავნილი შაჰის სამსახურში მყოფი ბახტიართა რაზმი სედარ ასადის მხარეზე გადავიდა. შაჰმა გაიწვია სალტანეტაბადში ინგლისისა და რუსეთის წარმომადგენლები მდგომარეობის გამოსარკვევათ.

### ოსმალეთი.

**სალონიკი.** ახალგაზდა ოსმალთა კომიტეტი ცალკე პროკლამაციაში ურჩევს მაკედონიის ბერძნებს ნუ გატაცდებიან არსებულ წეს-რიგთა წინააღმდეგ აგიტაციით და საშინელი სასჯელით ემუქრება იმათ, ვინც აგიტატორთა რჩევას გაჰყვება.

**სტამბოლი**. სულთანმა გამოსათხოვარ აუდიენციაზე მიიღო ზინოვიევი.

**საზღვარ-გარეთ.**

**ტოკიო.** დეპუტატებს, რომელნიც შაქრის ტრესტის საქმეში იყვენ გარეულნი, ციხე მიესაჯათ.

**ნიუპორტი.** ახალი დოკის აშენების დროს ჯებირის გათხრის გამო 50 მუშა მიწას მოყვა. 26 კაცი გადაარჩინეს.

**ბერლინი.** გერმანელ-გლეხთა კავშირმა გერმანელ-გლეხებს მოწოდებით მიმართა, რომელშიაც სასტიკათ ჰკიცხავს სოფლის მწარმოებელთა კავშირს და რეაქციონურ-კონსერვატიულ მიწის მსხვილ მწარმოებელთ. მოწოდება სოფლის მწარმოებელთა კავშირის მოქმედებას გლეხებისათვის მტრულს უწოდებს და ხელმოწერილია გერმანიის სხვადასხვა კუთხეში მცხოვრებ მესაკუთრე გლეხების მიერ. კონსერვატიულ-აგრარიულ გაზეთებმა მოწოდება არ დაბეჭდეს.

გაზეთების ცნობის შესახებ, თითქოს გერმანიამ რუსეთს სპარსეთში კარტბლანში დაუთმოვო, „ზიუდდეიჩე ერიკსოკორესპონდენტი“ ამბობს: არც შ*ან-დარტის რეიდზე, არც სხვა ადგილებში გერმანიას ასეთი წინადადება არ მიუცია რუსეთის დიპლომატიისათვის. ცნობილია, თუ რა ინტერესებს იცავს რუსეთი სპარსეთში, ასე რომ გერმანია არასოდეს არ ცდილა დაერღვია ინგლისის თანხმობით სპარსეთში რუსეთის პოლიტიკისთვის ხელი შეეშალა.

# უკანასკნელი ფოსტა

**სპარსეთი**

**მდგომარეობა თეირანში.** „კ.“ ატყობინებენ: ბაზარი დახურულია, ყოველგან გაკრულია განცხადებები, რითაც აცხადებენ, რომ სასტიკათ დაისჯება ყველა ის, ვინც რაიმე ყაჩაღობას განიზრახავს. ქუჩებში გაძლიერებული პატრული დადის. შახის რეზიდენციის არე-მარეს ჯარი იცავს. ქალები და ბავშვები ქალაქიდან გადიან.

**რა აზრის არიან დიპლომატიურ წრეებში.** „რ. ს.“ ატყობინებენ პეტერბურგიდან: პეტერ. დიპლომატიური წრეებში სამუდამოთ დაჰკარგეს სპარსეთის დაწყნარების იმედი. კითხვა, თუ როგორ მოიქცეს ამ შემთხვევაში რუს. მთავრობა—გამოურკვეულია. აქტიური ჩარევის მომხრენი ამტკიცებენ, რომ რუს. მთავრობა მოვალეა დახმარება გაუწიოს შახს, რომელმაც რუსეთის დიპლომატიის რჩევით, აღადგინა კონსტიტუცია. მაგრამ მიუხედავათ ამისა დიპლომატიის ხელმძღვანელები მაინც ვერ ბედავენ იმოქმედონ თავის საკუთარ „რისკზე“, სანამ წინდაწინ არ მოელაპარაკებიან ინგლისის კაბინეტს. ამიტომ კითხვა იმაშია, თუ როგორ შეხვდება ინგლისის კაბინეტი რევოლიუციონერების გალაშქრებას. თუ რომ ინგლისმა ხელ-ახლა გადაიყვანა ჯარი ბუშირში, ექვს გარეშეა, რომ რუსეთი აქტიურ მოქმედებას დაიწყებს. ადვილი შესაძლებელია გენ. სნარსკის ჯარი სპარსეთის შიდა პროვინციებშიაც გავიდეს.

**ხმები შახის გაპარვის შესახებ.** უკანასკნელი ამბების გამო შახის კამარილა დარწმუნდა, რომ საქმე წაგებულია და თავის შველაზე იწყეს ზრუნვა. გუშინდელი დიქტატორების მდგომარეობა დღეს კრიტიკულია. ბევრმა მათგანმა მიატოვა შახი, თავის ქონება და მთებში გაიხიზნენ. ვისაც ფული აქვს—საზღვარ-გარეთ გარბიან. ასე რომ, ამჟამათ შახთან მხოლოდ ლიახოვი დარჩა, რჩევა დარიგების მისაცემათ. უკანასკნელ დღეებში ხმები გავრცელდა, რომ შახი გასაპარავათ ემზადებაო.

**ოსმალეთი**

**კავშირი „ადელფია“.** ადრიანოპოლის ვილაეთში აღმოაჩინეს ბერძნების კავშირი „ადელფია“. კავშირში მრავალი იარაღი და სამხედრო მასალები აღმოჩნდა. დაატუსაღეს კავშირის რამდენიმე წევრი. დაჭერილებმა აჩვენეს, რომ კავშირის მიზანი იყო ბოლგარიის აგიტაციის წინააღმდეგობა და ბერძნებისთვის იარაღის მიწოდება, თუ ვინცობაა რევოლიუციამ იფეთქაო.

**ბერძნების თავდასხმა.** „კასპ“ ატყობინებენ, რომ ბერძენი სალდათები თავს დაესხენ 200 მუსულმანს, როცა ეს უკანასკნელები მინდვრებში სამუშავოთ გავიდენ. მოკლულია მრავალი.

**საბერძნეთ-ოსმალეთის დამოკიდებულება.** დამოკიდებულება საბერძნეთს და ოსმალეთს შორის თანდათან მწვავდება. მაჰმუდ ფაშას და საბრ. პარტიაქს შორის მომხდარმა ინციდენტმა თითქოს დამწვარზე მდუღარე გადაასხა. ბერძნები აშკარათ ამბობენ, რომ დადგა წამი თათრებთან ანგარიშის გასწორებისო. ოსმალეთის მთავრობამ გადასწყვიტა, რათაც უნდა დაუჯდეს აჯანყება ჩაჰკლას.

**ოსმალეთის ელჩის განცხადება.** ოსმალეთის ელჩმა განუცხადა ინგლის გარეშე საქმეთა მინისტრ გრეის, რომ ოსმალეთი არას დროს არ დათანხმდება ისეთ წინადადებას, რომელიც უფლებას აძლევს საბერძნეთს მონაწილეობა მიიღოს კრიტოსის კითხვის გადაჭრაში.

**გაზეთ „ნოვოე ვრემია“ და ახალგაზდა ოსმალები.** ყოველ გვარ თავისუფლების მტერს „ნ. ვრ.“ რევოლიუციის გამარჯვება მოსვენებას არ აძლევს და ფაქტების თავისებური დამახინჯებით ახ. ოსმალების დამამცირებელ ცნობებს აწვდის თავის მკითხველებს. ასეთ გარემოებას ყურადღება მიაქცია ახ. ოსმალთა ორგანომ და სხვათა შორის შემდეგს სწერს: ჩვენ გავიგეთ, რომ „ნ. ვრ.“ აწვდის ცნობებს სტამბოლში მყოფი კორესპოდენტი, რომელიც თავის მიმართულებით ემხრობა 31 მარტს მომხდარ საზიზღარ პერევოროტს. გვიკვირს, რომ ეს კორესპონდენტი ასე უმადურათ სარგებლობს. ჩვენი სტუმართ მოყვარეობით, არ გვინდოდა დაგვეჯერებია თუ „ნ. ვრ:“ ისარგებლებდა თავისუფლების ასეთ მტრების შეხედულებით. სიცხვილია, რომ „ნ. ვრ.“ ასეთი ყალბი და ტენდენციური ცნობებით სარგებლობსო.

მარა „ნოვ. ვრემ“ ხრომ არაფრის არ შერცხვება!..

**სომხის ეპისკოპოს** მუშეგს, რომელიც ეგვიპტეში გაიქცა, ადანის სამხედრო სასამართლომ სამუდამო კატორღა გადაუწყვიტა.

ყველა მაღლობებზე ქერეჯის გარშემო ზარბაზნები და ტყვის მფრქვეველებია დაწყობილი. ჯარი ხელმძღვანელობს კაპიტანი პესებინასი. რევოლიუციონერები უკვე ქერეჯში იმყოფებიან.

**საზღვარ-გარეთ**

**ჩინელები საომრათ ემზადებიან.** მახლობელ აღმოსავლეთის ამბებმა სრულიად დაჩრდილეს შორეულ აღმოსავლეთის მანჯურიის მდგომარეობისადმი ინტერესი. რა ხდება იქ, ამაზე არავინ ხმას არ იღებს. ცხოვრების სიღრმეში კი იქაც დიდი ცვლილება ტრიალებს. ჩინელები მეტის მეტათ მტრული თვალით უცქერიან რუსეთს და რუსეთის რკინის გზას ბოიკოტს უცხადებენ. საკვირველია, რომ ამ რკინის გზის გვერდზე ურმებით გადააქვთ ბევრათ მეტი საქონელი. ამას ისიც უწყობს ხელს, რომ რკინის გზის ტარიფი მეტათ დიდია და გაგზავნ-გამოგზავნა ძვირათ ჯდება. მარა საერთოთ ბოიკოტის მთავარი მიზეზი,— ეს მტრული განწყობილებაა რუსებთან. ჩინელების მიზანია ამ გზას მნიშვნელობა დაუკარგონ და ხელში ჩაიგდონ. ცხადია ეს უნდა მოხდეს იარაღის საშუალებით და არა ფულით. ჩინელები კიდეც ემზადებიან ამისთვის. მანჯურიას ავსებენ ახალი გაწვრთნილი ჯარით, რომელიც ოდნავაც არ მოგვაგონებსწინანდელ ჩინელ ჯარს, რომელიც თოფის ხმის გაგონებაზე გარბოდა. მეორე მხრით ყოველ მხრით ეშურებიან მანჯურიაში ჩინელები დასახლებას, რაც წინათ აღკრძალული იყო. ახლა გადმოსახლების მსურველთ აქ მიწებს ურიგებენ. ამის გამო მანჯურიაში სწრაფათ აშენდა ახალი სოფლები და გაფართოვდა ძველები.

ჩინელების სიძულვილი რუსებისადმი და მათი „გაბედული“ მოქმედება ექვს გარეშეა. ამას ისინი ამტკიცებენ წვრილმანი შეტაკებებით, რომელიც ხშირათ დამამცირებელია რუსეთის სახელისთვის. ასე მაგ. ამას წინათ რუსეთის ყაზახთა ასეული არ გაატარეს საზღვარზე და იარაღის აყრა მოსთხოვეს. მართალია ინციდენტი მალე ჩააქრეს, მარა მაინც თავისი მნიშვნელობა არ დაუკარგავს. განა ამ რამოდენიმე წლის წინათ ამას გაუბედავდენ რუსეთის ჯარს? ახლა კი ბედავენ. აი ამის მორალი. ეს კიდევ არაფერი. რუსეთის რკინის გზის მნიშვნელობა სულ დაეცემა, როცა ჩინელები თვითონ გაიყვანენ გზას, რისთვისაც სესხი უკვე უშოვიათ.

რუსები, რომლებიც აქ ცხოვრობენ, გრძნობენ, რომ ხიფათი აუცილებელია. თვით ჩინელებიც არ ფარავენ ზოგიერთი, რომ მოსალოდნელია თუ დიდი არა, პატარა ომი მაინც. ხმები დადის, „ბოქსერების“ აჯანყება დაიწყება და ამით ჩინელი ჯარი ისარგებლებს და თვითონ დაიწყებს თარეშსო. ყველაფერი შესაძლებელია.

**შემთხვევა ბაღში.** ლიუქსენბურგის ბაღში (პარიზში) ვიღაც უცნობმა რევოლვერი ესროლა შვიდი წლის პატარა ქალს, მაგრამ ააცდინა. მსროლელი დაატყვევეს. ის აღმოჩნდა სომხის პუბლიცისტი თუმაევი. ჩვენების ჩამორთმევის დროს მან განაცხადა, რომ მას სურდა ასეთი სროლით მოეგონებია საფრანგეთის დედებისათვის სომხების ხოცვა-ჟლეტის საშინელებანი. ჯიბეში უნახეს მას ბროშიურა სომხეთში მომხდარ ხოცვა-ჟლეტის აღწერით, რომელსაც უძღვნიდა კლემანსოს. გამოირკვა რომ თუმაევმა ასეთივე მიზნით 1907, ისროლა რევოლვერი, რისთვისაც ის ორი წლით საგიჟეთში იყო დამწყვდეული.

**უმუშევრობისაგან დაზღვევის საერთაშორისო კონგრესი.** საფრანგეთის სოციალ პოლიტიკების ინიციატივით, ევროპის კულტურულ სახელმწიფოთა შორის ამ ჟამათ მოლაპარაკებაა გამართული უმუშევრობიდან დაზღვევის შესახებ. ამ მიზნით პარიზში დაარსდა განსაკუთრებული კომიტეტი, რომლის სათავეში სდგას ყოფილი მინისტრი, ცნობილი მილეირანი: კომიტეტში შედიან მრავალი პოლიტიკოსები და [illegible] კომიტეტი იწვევს ამ დღეებში კონფერენციას. კონფერენციაზე [illegible] ინგლისის, გერმანიის, ბელგიის და სხვა ქვეყნების წარმომადგენელნი. კონფერენცია განიხილავს შემდეგ კითხვებს: პროგრამის შემუშავება და ადგილის დანიშვნა მომავალ კონფერენციისათვის, შედგენა მუდმივი კომისიის.

კონფერენციის მოწვევა განზრახულია 1910 წ. პარიზში.

**რუსეთი.**

**კულტურული მუშაობა.** კიევას მუშები დიდი ენერგიით ეკიდებიან კულტურულ-განმანათლებელ მოღვაწეობას. აღსანიშნავია, რომ „ძველებური მუშაობა და წრეები კი სრულიად გაქრენ, ისინი სრულიად აღარ არსებობენ და ყოველი ცდა მათი აღდგენის და ძველებური გამოცოცხლების უნაყოფოთ რჩება, თუ ნაყოფათ არ ჩავთვლით იმას, რომ ყველა ამის მსურველები პოლიციურ პიროებების მსხვერპლი ხდებიან. ძლიერ შეასუსტა რეპრესიებმა პროფ. კავშირები, მარა მუშები მაინც არ იტეხენ გულს და ამ ახალ პოზიციის დათმობას არ ფიქრობენ. შედარებით უკეთ მიდის განმანათლებელი მუშაობა. სისტემატიურათ კითხულობენ ლექციებს, ორჯერ კვირაში. ლექციების შინაარსია, ბუნების მეტყველებიდან, მუშათა კანონმდებლობიდან, საფრანგეთის რევოლიუციის ისტორიიდან და სხვა. ამას გარდა მართავენ სახალხო კონცერტებს და წარმოდგენებს. ყველა ეს, განსაკუთრებით ლექციები მრავალ მუშებს იზიდავს; ასეთივე მდგომარეობაა დაახლოვებით პოლტავის, ჩერნიგოვის და ვალინის გუბერნიაში (სპილკა). მხოლოდ პოლტავის გუბერნიაში „ჭეშმარიტთა“ რიცხვის სიმრავლე დიდ დაბრკოლებას უდებს წინ კულტურულ მუშაობას, წრეებში მუშაობა არც ერთ ამ ადგილებში არ ხეირობს, მუშათა კლუბებს კი ჯერ ფესვი ვერ მოუმაგრებიათ, თუმცა მუშები მას სულით და გულით ეტანებიან: მიზეზი ძალების უქონლობაა.

**ლოთობასთან ბრძოლა ფინლიანდიაში.** 1 ივლისს ახალი სტილით ფინლიანდიაში დაიწყო საერთო გაფიცვა ალკოჰოლის მხმარებლებისა, ამ გაფიცვის მოსაწყობათ სიფხიზლის საზოგადოებებმა მიმართეს მხარის დასაჭერათ ყველა კულტურულ და საქველმოქმედო საზოგადოებებს, რომლებიც არსებობენ ფინ-

---

### გზათ მიმავალს.

ვინც უნდა იყო გზათ მიმავალი,
თუნდაც ურწმუნო,—ძმავ, დაიჯერე:
ამ წმიდა ადგილს ოდეს შეხედავ
კრძალვით პირჯვარი გადაიწერე!
დახვარმა მტრისამ გული გაუპო,
ამ ჯვარედინზე უეცრათ დასცა,
ვისაც მოძმესთვის უძგერდა გული,
ჩაგრულთა საქმემ ვინც გაიტაცა...
ნაზი ტირიფი ტოტებ-დახრილი
მის უკანასკნელს ისმენდა აღთქმას
და ფრთა-გაშლილი მწუხრის ნიავი
თითქოს იწერდა მის თვალთ გამოთქმას.
ოდეს სიმართლეს სული ამოხდა
და დაეხუჭა ნათელი თვალი,
მსუბუქი ფრთებით თავს დასტიროდა,
ვით სატრფოს ცხედარს ჭირისუფალი!..
ვინ-და უსმენდა... დ ბურულს ტყეში
კვლავ დაიღია ტ ნჯვის ფიალა,
ქარის ზუზუნზე, მწუხრის ზარებზე
ჩირგვებში გველმაც გაისრიალა.
და მიცვალებულს ამაოდ უყო,
ვით სატრფო სატრფოს, ულს შემოყვლდო...
ოჰ, ნუ შებილწავ წმიდათა წმიდას
ქვეყნის საზარო, ცბიერო გველო!..
კლდეებს მოსწყდება, მაღალს გუმბათებს,
ჩაესვენება სხივები მზისა,—
და დაბლა სოფელს საშინელს ამბავს
გადასძახებენ ნადირნი ტყისა!..
რომ გარიჟრაჟზე სატრფოც მოვიდეს
გულში ჩაეკრას საყვარელ გვამსა!
გველო, ახლავე, ნუ შეურაცხყოფ,
თავს ნუ დაარწყევ, მტარვალო, შხამსა!..
შავმა ღრუბელმა თავს გადგვიარა,
ჩვენს რაზმს მოაკლდა მისებრ მრავალი,—
კრძალვით შეხედე ამ წმიდა ადგილს,
ვინც უნდა იყო გზათ მიმავალი!..

**იასამანი.**

---

### მ ქ ა ფ ა ვ ი

I.

დე, მოპირქუშდეს კამარა ცისა,
მთამ წარმოგზავნოს ღრუბელთა გროვა,
ფრთები გაშალოს საშინელებამ,
მწუხრი დაეშვას, გამეფდეს გლოვა,
ჩამიშავბნელოს, დამისამაროს
ნუგეში სხივი დიადი მზისა,
კვალს არ დავკარგავ... მივახწევ მიზანს,
არ შევწყვეტ კაფვას ეკლიან გზისა.

II.

გრძნობავ, გონებავ!
არ მიღალატოთ!
ერთათ წავიდეთ,
ვიაროთ მარტოთ.
სადაც დავეცნეთ
იქ მოვისვენოთ,
შემდეგ წინ სხვები
წავლენ... უჩვენოთ!..

III.

შენც, ჩემო გულო წინააღუდექ,
კარი დაუხშე შიშს, ყოყმან-ძრწოლას
და გაკაჟებულ სულის სიმედგრით..,
ვიდრე ცოცხალ ვართ... ნუ შევწყვეტთ ბრძოლას.

მაშინ მოვიდენ, ზე მოგვესივონ
შესამუსვრელათ ძალნი მტრისანი,
ალმასის ცულით თავხეთქილები
განირთხმებიან მზე-ბნელ-დღისანი.

VI.

ჩვენ კი წინ წავალთ
იმავ გზისანი,
ჩეხით... ჩეხელნი
ფუვალ ტყისანი.

**გ. ქურიშვილი.**

---

### გზა-კვალ აბნეულთა ბანაკში.

(დღევანდელ მიმდინარეობათა შესახებ რუსულ ლიტერატურაში).

ის კრიზისი, რომელსაც განიცდის დღეს რუსული სიტყვა-კაზმული ლიტერატურა გახდა ამ უკანასკნელი წლების განმავლობაში ერთ უმთავრეს საჭირბოროტო კითხვათ. ეს კითხვა იქცევს ყურადღებას რუსეთის ინტელიგენციის ცოტათ თუ ბევრათ წრეებისას და აღელვებს მათ. ამის შესახებ ლაპარაკობენ და სწერენ სხვილ ჟურნალში, სატახტო ქალაქების დიდ გაზეთებში; პროვინციის პატარა გამოცემებშიაც ხშირათ და ბევრსა სწერენ „მტკივან“ მიმდინარეობათა შესახებ თანამედროვე ლიტერატურაში და იმ კრიზისზე, რომელსაც ის განიცდის. კრიტიკა კარგი თვალით არ უცქერის ახალ გამოცემებს, ლანძღავს მათში მოთავსებულ ეროტიზმს, პორნოგრაფიას, „ესტეტიურ ჩამოქვეითებას“ და სხვ. სტატიების ავტორები ეკამათებიან და ვერ შეთანხმებულან ერთი მეორესთან ამ მოვლენის გამომწვევ მიზეზების ახსნა-განმარტებაში, მარა იმის შესახებ კი ყველა თანახმაა, რომ დღეს სიტყვა-კაზმულ ლიტერატურას ცუდი დრო უდგას, გასაჭირს განიცდის, რომ ის ირყევა და იქით-აქეთ ქანაობს, რომ ის მტკიცე ნიადაგს მოკლებულია.

ჯერ იყო და გამოდიოდა პატარ პატარა მძიმე მოთხრობები, რომლებიც სავსე იყო ესერებითა და ესდეკებით, მიტინგებითა და ბარიკადებით; შემდეგ „ლამაზ-ლამაზი“ რომანები და მოთხრობები, რომელნიც პოეტურათ იქადაგებენ ეროტიზმსა და სქესობრივ გარყვნილებას; ახლა კი—საგალობელნი სიკვდილისა და მის წინაშე შიშისა, რომლებიც „ფერადების დასასრულებლათ“ სავსეა ეროტიული სურათებით.

მკითხველი ეწაფება ყოველივე ამას, როგორც ახალს, მას უნდა ხელოვნებაში მაინც იპოვოს და გაიგონოს ცხოვრების ხმა, რომელიც მოურიდებელი რეაქციის მუშტებით არის დაზელილი. მკითხველი დაჟინებით არ ამბობს, რომ ხელოვნება თავისი მოტივებით საჭირბოროტო კითხვას შეადგენდეს, მარა, ამის მიუხედავათ, მას უფლება აქვს ეძიოს მასში ის ფაქიზი გრძნობის ნაკადულები, რომლებიც ათბობს და წინ სწევს მის აზრს. მარა, მკითხველი ვერ პოულობს ამას, თუმცა რუსული ლიტერატურული ბაზარი, არასოდეს არ ყოფილა ასე მდიდარი სხვადასხვა გამოცემებით, როგორც დღესაა. წიგნის მაღაზიების ვიტრინებში, სადაც წინეთ გამოფენილი იყო მარქსისა და ენგელსის სქელი ტომები, დღეს არხეინათ ჩამწკრივებულა არციბაშევის, კამენსკის, კუზმინის, რემიზოვის და სხვათა მოთხრობები, რომელთაც, ვგონებ, დასასრულიც არ უჩანს. ამათ აშვენებს მყვირალა, ფანტასტიური სამოსელი და ტკაცა-ტკუცა სახელები... და ყოველივე ამაში ასე ცოტაა ახალი, გამამხნევებელი და ნამდვილი სილამაზე.

ის მასალა, რომელიც მისცა პოეზიას 1905 წლის ამბებმა მაშინვე გაიგზავნა მხატრული ლიტერატურის ლაბარატორიაში, მარა შედეგი ვერ გამოდგა ბრწყინვალე. „რუსეთის რევოლიუციამ ჯერ კიდევ ვერ შექმნა თავისი მომღერალი“-ო, ამბობს მერეჟკოვსკი და ჩვენც უნდა დავეთანხმოთ მას. მართლაც, ეს ნაირ ნაირი მოთხრობები, უსიცოცხლო ბრძოლის წყალნარევ სისხლით შეფერადებულნი, ეს მყვირალა შაირები „ზრბოს მაღლა მდგომარე ზე-კაცების“, რომლებიც ძირს დედამიწაზე ჩამოეშვენ რუსეთის რევოლიუციის სადღესასწაულო დღეებში და მედიდურათ უპარტყუნებენ მხრებზე ხელებს რუსეთის პროლეტარიატს,—ყოველივე ეს მეტათ მკრთალათ ხატავს რუსეთის რევოლიუციის ჭეშმარიტ სიდიადეს.

რა თქმა უნდა, შეგვიძლია დავასახელოთ ორი-სამი შვენიერი მოთხრობა, რამდენიმე საუცხოვო ლექსი, მარა საზოგადო მიმართულება კი მკრთალია და მოკლებულია ძლიერი სინამდვილის მომხიბლავ ფერადებს. ის კი არა, გორკისაც ვერ გამოუვიდა ძლიერ კარგი მისი „დედა“, თუმცა ეს ნაწარმოები ძლიერ ძვირფასია, როგორც პირველი ცდა რუსეთის შეგნებული პროლეტარიატის ცხოვრების ფართო და ხელოვნური სურათის დასახატავათ.

რევოლიუციამ ვერ ჰპოვა თავისი გამოხატულება მხატვრულ შემოქმედებაში, ავტორები თვითონ ხედავენ თავისი ცდის მარცხსა და ზოგიერთები „ახალგაზდათა“ ბანაკიდან ცდილობენ ახსნან ეს „მხატრული შემოქმედების მეტის მეტი განვითარება-გაფართოებით, რის გამოც ის რევოლიუციასაც მხოლოდ სხვათა შორის ეხება“. ვალერი ბრიუსოვმა განმარტა: „იმის მოთხოვნა, რომ პოეზია მარტო (??) ხალხური მოძრაობას უგალობდეს ისეთივე უცნაურია, როგორც იმის მოთხოვნა, რომ მთელი ფართლეულობის წარმოება ამზადებდეს მხოლოდ რევოლიუციური შეიარაღებისათვის საჭირო წითელი ფერის საქონელს, ან და პოეტები ჯარში სამსახურის მოხდის სამაგიეროთ „პრისუსტვიას“ სალდათური ლექსების წიგნაკებს უძღვნიდენო“. მარა თავი დავანებოთ რუსული „მოდერნიზმის“—ამ ერთ-ერთი ბურჟუის ასეთ ახირებულ შეხედულებას, ჩვენ მხოლოდ აღვნიშნოთ ის მოვლენა, რომ რუსულმა ლიტერატურამ ამ მხრივ სცადა თავისი ძალ-ღონე, მარა მარცხი მოუვიდა და სხვა მხრისაკენ იბრუნა პირი, რაშიაც ხელი შეუწყო მას სიწყნარის ჩამოვარდნამ, ხოლო შემდეგ რეაქციის გაბატონებამ.

და აი, სულის შემხუთავ რეაქციის ატმოსფერაში რუსულმა ლიტერატურამ „დაიწყო ახალი გზების ძებნა“ და „უური მიაპყრო ადამიანის „მეს“, მისს უსაიდუმლეს სიმების ახალ ჰანგებს“. ამ მხრივ ეგრედ წოდებულ „ახალ“ ხელოვნებას

ლიანდიაში. გაფიცვის იდეას განსაკუთრებულ თანაგრძნობით ეგებებიან მუშათა წრეებში. ყველა მნიშვნელოვან პუნქტებში ამ დღისთვის დანიშნული იყო სადილები და კრებები, რომელზედაც წარმოითქვა სიტყვები ლოთობის წინააღმდეგ და გაფიცვის სასარგებლოთ. ამით მიზნათ აქვთ, რაც შეიძლება ფართო და შეკავშირებული ხასიათი მისცენ გაფიცვას.

**ყაჩაღი სავიცკი.** ჩერნიგოვის გუბერნიაში მუშათა მდგომარეობაზე დიდი გავლენა ქონდა ყაჩაღ სავიცკის ყოფნას. მთავრობა მას დასდევდა და ყველა სოფელ დაბებში ჯარები იყო ჩაყენებული. ყოველგვარი, თუნდ ლეგალური კრება შეუძლებელი ხდებოდა. მხოლოდ იმ ადგილებში, სადაც სავიცკის რაზმი ვერ სწვდებოდა, მუშებს მეტი სიცოცხლე ეტყობათ. იქ მათში მეტს შეხვდები ყოველგვარ კავშირებს და წრეებს, არის მუშათა კლუბებიც.

**გლეხების სულიერი მდგომარეობა პოდოლის და კიევის გუბერნიებში.** პოდოლის გუბერნიაში წინეთ დიდ საგლეხო მოძრაობას ქონდა ადგილი, როგორც სხვა მეზობელ გუბერნიებში. ახლა გლეხების შემოქმედებითი მუშაობა გამოიხატება უმთავრესათ მომხმარებელ დუქნების დაარსების და თვითმართველობის ორგანოებში „თავის“ კაცების გაყვანაში. ქალაქებსა და დაბებში მუშები ენერგიულათ ცდილობენ პროფ. კავშირების და სხვა ლეგალურ ორგანიზაციების შექმნას.

ასეთსავე მუშაობას ეწევა გლეხკაცობა კიევის გუბერნიაში, და აქ კოოპერატივების მოწყობის ნიადაგზე დიდი შეტაკება მოდის მოწინავე გლეხებს და „ჭეშმარიტ რუსთა კავშირის“ წევრებ შორის. ეს უკანასკნელნი ცდილობენ თავის ხელში ჩაიგდონ ეს დაწესებულებები და ისინი შავრაზმულ მიზნით გამოიყენონ. ბევრგან ატყუებენ კიდეც გლეხებს, პირდებიან,—მიწასაც მოგცემთ უფასოთ, გადასახადებსაც დავაკლებინებთ და სხვა.

**გლეხები და ს. დ. ფრაქცია დუმაში.** გლეხებში ამ უკანასკნელ ხანებში დიდათ გაიზარდა ინტერესი სახელმწ. დუმისა და კერძოთ ს. დ. ფრაქციისადმი. ჩერნიგოვის გუბერნიის გლეხებში ბევრნი მაგ. მთავრობის გაზეთ „როსიას“ იწერენ იმ მიზნით, რომ გაეცნენ დუმის სტენოგრაფიულ ანგარიშებს, რომელიც ამ გაზეთს მოყვება და რომელშიაც ს. დ. სიტყვებიც სავსებით არის ხოლმე მოყვანილი. კიდევ უფრო მეტათ არის დაინტერესებული ს. დ. ფრაქციის მოქმედებით და მუშაობით სოფლის პროლეტარიატი. ისინი გაფაციცებით ადევნებენ თვალ-ყურს იმას, რასაც ამბობენ ს. დ. ორატორები დუმაში და ღრმათ იმარხავენ გულში მათ სიტყვებს. მათში ძლიერი სურვილია ორგანიზაციის მოწყობის. შეძლების-დაგვარათ შაქრის ქარხნებსა და დიდ მამულებში კიდევაც ახწევენ მიზანს. აწყობენ კავშირებს, კლუბებს და სხვა. მარა ლექტორთა სიმცირე მეტის-მეტათ აბრკოლებს მუშაობის განვითარებას.

# ახალი ამბები

**პანაშვიდი.** კვირას ქაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში გადახდილ იქნა პანაშვიდი გარდაცვალებიდან ნახევარი წლის თავზე მეორე სახელმწიფო დუმის წევრის არჩილ ლევანის ძე ჯაფარიძის მოსაგონებლათ. პანაშვიდს დაესწრნენ განსვენებულის ნაცნობ-მეგობრები, ნათესავები და პატივისმცემელნი.

✦ **ოზურგეთის რეალური სასწავლებლის** დაარსების საკითხის განსახილველათ ამ დღეებში კერძო თათბირი ჰქონია სამოსწავლო ოლქის სამზრუნველო საბჭოს, რომელსაც განუხილავს ყველა ის მასალები, რაიც სამოსწავლო ოლქის მზრუნველს წარუდგინა საგანგებო დეპუტაციამ. საბჭოს აზრით საჭიროა სასწავლებლის შესანახათ ყოველ წლიურათ 8,000 მან., რომელიც ამ თავიდანვე უნდა იქნას უზრუნველყოფილი. თუ ზემოხსენებულ თანხას უზრუნველყოფენ მცხოვრებნი, სასწავლებლის გახსნას დაბრკოლება არ შეხვდება. ჯერჯერობით საბჭოს ამ საკითხის შესახებ ოფიციალური დადგენილება არ გამოუტანია. სანამ ასეთ დადგენილებას მიიღებდენ, საჭიროთ უცვნიათ საზოგადოების და ოზურგეთის ქალაქის თვითმართველობის მიერ გამოტანილი განაჩენების მოთხოვნა.

✦ **თფილისის ტრამვაი.** ცენტრალური სადგურის მუშებსა და ლებონს შორის გამართულმა მოლაპარაკებამ სასურველი შედეგი ვერ მოიტანა. ცენტრალური სადგურის მუშებს მეტათ მცირე ჯამაგირები აქვთ, სახელოსნოს მუშების ჯამაგირებთან შედარებით, ამიტომაც, ლებონის მოთხოვნილება, რომ ეს, ისედაც ძალზე შეკვეცილი ჯამაგირები კიდევ შემცირებიათ, მუშებმა არ მიიღეს, ამიტომ 20 ივნისს ლებონმა ხსენებულ მუშებს გამოუცხადა, რომ ვისაც არ სურს ახალ პირობებში მუშაობა ხუთი დღის განმავლობაში მიიღეთ ანგარიში და მუშაობას თავი დაანებეთო.

✦ **კავკასიის რეფორმები.** „ბაქოს“ სიტყვით ამ ახლო ხანში მინისტრთა საბჭო შეუდგება კავკასიის რეფორმების შესახებ ნამესტნიკის მიერ წარდგენილ კანონ-პროექტის განხილვას. კანონპროექტის განხილვაში გაზეთის სიტყვით თვით ნამესტნიკიც მიიღებს მონაწილეობას.

✦ **წ. კ. საზოგადოების სამტრედიის** განყოფილების სასარგებლოთ გამართულ სეირნობას 21 ივნისს სამტრედიაში, როგორც გვატყობინებენ, დიდ-ძალი საზოგადოება დასწრებია.

✦ **სომეხთა კათოლიკოსი** ეჩმიაძინში დღეს მიემგზავრება. გზა და გზა ის შეივლის ქ. ალექსანდროპოლში, ანში და სხვ.

✦ **წმ. ნინოს ქალთა სასწავლებლის** 7 კლასის კურსი წელს დაამთავრა: ეკატერინა ვაჩნაძემ, ეკ. ჯაფარიძე, ან. მაყაშვილმა, (სამივემ ვერცხლის მედალი მიიღეს) ელ ანდრონიკაშვილმა, ქ. ვაჩნაძემ, მარ. ვაჩნაძემ, ოლ. ნადირაძემ, ან. თაქთაქიშვილმა, ე. ჰავჰავაძემ, ელის. შოშიაშვილმა. წელსვე 8 კლასის კურსი დაასრულა და მასწავლებლობის მოწმობა მიიღო 30 ქალმა. მათ შორის ქართველია: ეკ. გაბაშვილი, ნ. აბულაძე, ქ. ბალუევა, ნ. ბაქრაძე, ნ. გამყრელიძე, ბარ. ყიფიანი, მარ. მაჩაბელი, ან. ჰავჰანიძე და ანას. ჩერქეზიშვილი.

✦ **ნიკოლოზ ზ. ცხვედაძის** პატივსაცემლათ 20 ივნისს „ედემის“ ბაღში მისმა პატივისმცემლებმა სადილი გამართეს, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს: ბანკის, თავად-აზნაურობის, ქართული გიმნაზიის, პრესის და სხვა და სხვა ქართულ დაწესებულებათა წარმომადგენლებმა. დაესწრო აგრეთვე სახაზინო პალატის მმართველი ოსტროვსკი. წარმომადგენლებმა სიტყვით მიმართეს ზ. ცხვედაძეს, აღნიშნეს მისი საზოგადო მოღვაწეობა და უსურვეს დღეგრძელობა. ნიკოლოზ ცხვედაძე თავად აზნაურთა სადგილ-მამულო ბანკის დაარსების დღიდან მსახურებდა ბანკის ზედამხედველ კომიტეტის თავმჯდომარეთ. წელს მან ხსენებულ თანამდებობას თავისივე სურვილით თავი დაანება. („ნ. ტ“.)

✦ **თავად-აზნაურთა სადგილ-მამულო** ბანკის ზედამხედველი კომიტეტის თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა გენერალი გ. ყაზბეგი, მის თანაშემწეთ თ-დ ს. რ. ვაჩნაძე.

✦ **მიწის ძვრა.** შაბათს, 20 ივნისს ღამის ათ ნახევარ საათზე თფილისში მიწა იძრა. მიწის ძვრა რამდენიმე წამს გაგრძელდა.

✦ **კავკასიის უღელ-ტეხილზე რკინის გზის** გაყვანის შესახებ მასალების შესაკრებათ ამ დღეებში სხდომა ჰქონდათ ამ საქმისთვის საგანგებოთ გამოგზავნილ ინჟინერებს მცოდნე პირთა მონაწილეობით. ინჟენერ ჩერვინსკის მოხსენებით, აზრათ აქვთ რკინის გზა გაიყვანონ თფილისიდან კარაბულახამდე, სადაც თფილისიდან გაყვანილი გზა კავკავის გზას შეუერთდება. ასე რომ, თფილისსა და როსტოვს შუა მაშინ იქნება 856 ვერსტი. კრების აზრით მაშინ ბევრი საქონელს ამიერ კავკასიაში ქ. პეტროვსკიდანაც ამ გზით წამოიღებენ. ამას გარდა, ჩრდილოეთიდან ამიერ კავკასიაში წამოვა ამავე გზით ხე ტყე, სიმინდი, კართოფილი, თივა, მარილი, ფქვილი, საკლავი ნახირი და სხ. ასე რომ, გზას კომერციულის მხრით დიდი მნიშვნელობა ექნება. მათი აზრით თფილისი და როსტოვი გახდებიან საქონლის გამნაწილებელ მთავარ პუნქტებათ და მოსალოდნელია ბევრი საქონელი რუსეთის დასავლეთ და სამხრეთ-დასავლეთ გუბერნიებიდან ფოთი—თფილისის საშვალებით ამ გზით გაიგზავნოს იმიერ კასპიის მხარეში ქ. პეტროვსკით. ამავე საკითხის განხილვას მეორეხ სხდომას მოანდომებენ. (კ.)

✦ **ივლიანე ჩხიკვაძე.** როგორც გვატყობინებენ, ამ დღეებში სპარსეთში მოუკლავთ ოზურგეთის მაზრის ს. ფარცხმის მცხოვრები ივლიანე ჩხიკვაძე.

✦ **თფილისის პატრიოტული საზოგადოებამ** გუშინ „საზოგადოების“ საძმო დარბაზში (ანდრეევის ქუჩა) გუბერნატორის სახლიდან გადაიტანა „საზოგადოებისათვის“ უმაღლესათ ნაჩუქარი ხელშწიფე იმპერატორის მეუღლის სურათი. სურათი მორთული იყო ყვავილებში. ბარიათინსკის ქუჩაზე, ნამესტნიკის მოადგილის გენ. შატილოვის სახლის წინ პროცესია შეჩერდა და იგალობეს „ღმერთო ფარვიდე მეფესა“. პროცესიას გამოეგება გენ. შატილოვი და მიესალმა. შემდეგ პროცესია გაემართა მიხეილის, ქსენიევის, ელისაბედის,—მილიუტინის ქუჩებით ანდრეევის ქუჩისაკენ. გზადაგზა სამხედრო მუსიკა უკრავდა საერო ჰიმნს და და ამავე ჰიმნს კიდეც გალობდენ. ხალხი პროცესიას ქუჩაში თანდათან ემატებოდა.

✦ **ჩხრეკის დროს** 20 ივნისს მე-3 საპოლიციო უბანში დააპატიმრეს 8 უპასპორტო, მეცხრეში—12, მერვეში—6 და მეექვსეში 5.

✦ **გადასახლებულთა შეპყრობა.** 20 ივნისს მე-5 საპოლიციო უბანში შეიპყრეს რაჭის მაზრის მცხოვრები ვასილ ომანიძე, რომელიც საგენერალ-გუბერნატოროს საზღვრებიდან ადმინისტრატიული წესით ყოფილა გაგზავნილი. 21 ივნისს შეიპყრეს ადმინისტრატიული წესით გაგზავნილნი: სპარსეთის ქვეშევრდომი კარაპეტ არუტინოვი და თფილისის მოქალაქე რაგიმ-შახ-ვალად ოღლი.

✦ **სამტრედიიდან გვწერენ:** აქაც იჩინა თავი ამ უკანასკნელ ხანებში შანტაჟისტთა ბრბომ, რომლებიც კოლექტიურ წერილებს უგზავნიან მცხოვრებთ და ფულებს მოითხოვენ. ამ დღეებში მოვაჭრე კოსტა ბახტაძემ და მიხა მიქაძემ მუქარის წერილები მიიღეს, რომლებისგანაც მოითხოვენ 200 მან., წინააღმდეგ შემთხვევაში სიკვდილით ემუქრებიან. საჭიროა ეხლავე სათანადო ზომები იქნას მიღებული ამ ნაძირალების წინააღმდეგ, თორემ ვინ იცის მადა გაღვიძებული ვაჟბატონები რას არ ჩაიდენენ. ამის გამო ძლიერ საფრთხეში არიან სპარსელნი და საზოგადოთ უცხოელნი—პარკით მოვაჭრენი და საჭიროა ზომების მიღება.

✦ **ასალო ვადაჭკორიას** გარდაცვალების გამო სამგლოვიარო წერილები მივიღეთ პოდოლის გუბერნიიდან ქ. უმერინის მსროლელთა პოლკის ჯარის კაცების—გიორგი მანჯავიძის, ერასტი სხირტლაძის, არჩილ თათარაძის, ვარლამ ტომარაძის, მალაქია მენაბდის და სიმონ შენგელიას მიერ ხელმოწერილი და ქ. პინეგიდან ექვთიმე არს. წულაძისაგან.

✦ **სხვა და სხვა ამბები:** 20 ივნისს საღამოს 8 საათზე წყნეთის ქუჩაზე დააპატიმრეს ქ. შემახის მცხოვრები სოფია ბაგიროვა, რომელსაც გაჩხრეკის დროს აღმოაჩნდა სხვა და სხვა ოქრო-ვერცხლის ნივთები 250 მან. ღირებული. როგორც გამოძიებას გამოურკვევია, ნივთები მას სხ. წყნეთში მოუპარავს. დაპატიმრებული მაზრის უფროსს ვადაეცა.

— 20 ივნისს საღამოს 9 საათზე დააპატიმრეს მეეზოვე რაჟდენ ტვარამაძე, რომელიც კოლონიის ქუჩაზე მდებარე ელის. სპივიცკის ბინიდან ნივთების მოპარვას აპირებდა.

— 21 ივნისს დააპატიმრეს თფილისის მაზრის მცხოვრები ნიკოლოზ მეტრეველი, რომელიც გორის მაზრის მცხოვრების ნ. ჯატიევის სახელოსნოდან ნივთების მოპარვას აპირებდა.

✦ **გვთხოვენ დავბეჭდოთ;** მე-7 საპოლიციო უბანში ორშაბათს დაიკარგა 9 წლის ემხვიდი ერეანდ ასატუროვი. ღურჯი ხალათი აცვია, შავგრემანია, თმა წაბლის ფერი აქვს, ფეხშიშველა იყო, თავზე წითელი ქუდი ხურავს. მნახველს სთხოვენ გადასცენ შემდეგ ადრესზე: კახეთის ქუჩა, შირაქის შესახვევი სახ. № 18 გასო ასატუროვს.

# პროვინცია

## კახეთი.

**ქ. თელავი.** საეჭვოა ჩვენი ქვეყნის რომელიმე კუთხეში კიდევ მოიპოვებოდეს ისეთი ჩამორჩენილი და უმოქმედო თვითმართველობა, როგორსაც ჩვენ ვხედავთ ქ. თელავში.

ბ. ბ. ქალაქის მამებს თითქოს დავიწყებიათ თავიანთი მოვალეობანი მცხოვრებთა წინაშე და არხეინათ სძინავთ. თუ ხალხისთვის გონებრივ საზრდოს მიწოდებაში არ იწუხებენ თავს და ამას თავის კომპეტენციის გარეშე აყენებენ (რაც აგრეთვე მათ ვერ ეპატიებათ), ქალაქის სხვა აუცილებელ მოთხოვნილებათ რაღა პასუხს აძლევენ!.. ეს ხომ მათ მოვალეობას შეადგენს! ვინ უნდა იზრუნოს, თუ არა მათ, ქალაქის განათებასა და ქუჩების შეკეთებაზე?! ასე გეგონებათ უბრალო გზა-ტკეცილები იყოს—მოჭყოლიან და ქუჩებზე აუარებელ ღორღს აყრევინებენ. თითქოს მთელ თელავზე წყალი მოვარდნილიყოს და ქალაქი ღორღით და ქვიშით გაევსოს. თუმცა კასა ღარიბი აქვთ, მაგრამ მაინც შესაძლებელი იყო იქიდან პატარა თანხის გადადება და ქუჩების მოკირწყვლა.

მაგრამ როგორც ეტყობა, ასეთ პატარა და უმნიშვნელო (!) საგანს არ ძალუძს მიიპყროს ბ.ბ. ხმოსანთა ყურადღება. მაშ ჩვენც ვეცდებით უფრო დიდს და მნიშვნელოვანს რასმეს მივაქციოთ მათი ყურადღება.

დღეს თელავში თხუთმეტამდის სულით ავათმყოფები (გიჟები) იქნებიან. უმრავლესობა მათგანი ეკუთვნიან ღარიბ ოჯახებს, რომელთაც, გარდა იმისა, რომ საშუალება არა აქვთ უწამლონ, არც საჭირო თავსაფარი მოეპოვებათ და იძულებულნი არიან მათთან ერთათ, ერთ ოთახში გაატარონ დღე და ღამე—ყოველგვარ შიშსა და საფრთხეში. აი მაგალითიც: ამ რამდენიმე ხნის წინეთ, ერთმა სულით ავათმყოფმა ძუძუ მოსჭრა თავის ცოლს.

ბ.ბ. ქალაქის მამებო! ნუ თუ ეს გულშემზარავი მაგალითიც არ იპყრობს თქვენს ძვირფას ყურადღებას? ნუ თუ მოვალეთ არ სთვლით თავს, საჭირო თავშესაფარი გამონახოთ ასეთ ავათმყოფთათვის?

ჩვენ შეგვიძლია კიდევ ბევრ ამგვარ მაგალითებზე მივუთითოთ ხალხისაგან აღჭურვილ ბ.ბ. ხმოსნებს, მაგრამ ზემოთ მოყვანილიც საკმარისათ მიგვაჩნია, რომ სავსებით დავახასიათოთ მათი სასიქადულო მოღვაწეობა.

**გ. კახელი.**

**კაგერი.** (ლეჩხუმის მაზრა) საზოგადოთ ლეჩხუმი **გუშინდელთან** შედარებით ნალეჩხუმევსლა წარმოადგენს, მაგრამ განსაკუთრებით ცაგერი, ეს სამაზრო დაბა ერთიანათ ჩამიწულ-ჩამარხულია. აქ ყველაფერი მოწამლულ-მოშხამულია; აქაური მმართველნი სხვა მხრის მმართველს არა ჰგვანან, აქაური ინტელიგენცია სხვა მხრის ინტელიგენციას არა ჰგავს. არ მოიპოვება არავითარი სულიერ-გონებრივი საზრდო. გამეფებულია ჭორიკანობა, ერთი-მეორის სიძულვილი და დაბეზღება-მოღალატეობა.

. . . ამ 3-4 წლის წინათ აქ გვქონდა ერთი ღარიბი სამკითხველო, რომელიც სადღაც ჰაქრა, მისი ასავალ-დასავალი ვერავინ გაიგო. სამკითხველომ ანდერძათ მთავრობის ნებართვა და დაგვიტოვა. კვლავ მისი აღდგენა, გაცოცხლება სულ ადვილი საქმეა, მაგარამ აბა მისთვის ვისა სცხელა!..

ჩვენს უკაცრავათ პასუხია **ინტელიგენციას** „საქანქრო“, „სადურმიშხანო“

---

უკვე ქონდა ერთგვარი გამოცდილება. წიგნების გამომცემლობა „Скорпіонъ“, „Вѣсы“, ჟურნალები, „Новый путь“, „Вопросы жизни“ და სხვები რევოლიუციის წინა ეპოქაშიაც აცნობდენ მკითხველებს „საიდუმლოებათა და გამოცანათა იმ ოკეანეს, რომელიც იმყოფება ჩვენი „მეს“ შეგნებულ მდგომარეობათა შემოზღუდულ წრის გარეშე“. ესევე ლიტერატურა ავათმყოფური ცნობის მოყვარეობით და დაუფარავი შიშით აყენებდა კითხვებს სქესისა და სიკვდილის, ღმერთისა და ეშმაკის შესახებ და იდეალისტურ წინასწარმეტყველთა პირით გვიწვევდა ჩვენ „ცამდე გოდოლის ასაშენებლათ. ამ მეტაფიზიკურ მისტიკას, ბედის-წერის წინაშე მუხლმოდრეკას, სიკვდილისა და სიცოცხლის წინაშე შიშს— ყველა ამას ევროპაში უკვე ყავდა გამომხატველი, ესენია გოფმანი და ედგარდ პოე, მეტერლინკი და როდენშახი; რუსეთში მან მხოლოდ მიიღო ზოგიერთი რამ ახალი რუსთათვის სპეციფიკური (განსაკუთრებული) ელფერი.

მარა 1900—1905 წლებში, როცა რუსეთში მაღი ღვთის მოწოდება, გაფეტიშებული კულტი ეროსისა, ეს ძრწოლა შიშით, მუხლის მოდრეკა სიკვდილის წინაშე ყალბ ხმათ ისმოდა და ხელათვე ინთქებოდა „Буревѣстникъ“-ისა და ძლიერი „ადამიანის“-ს *), სიმღერებში, რომელნიც მოუწოდებდენ ყველას „სულ წინა და მაღლა სიარულისთვის“.

რუსეთმა განიცადა ფართო მასის კოლოსალური ბრძოლა, მან იხილა დიდი ამბები, რომლებმაც გრიგალივით გაიარა კიდით-კიდემდე და რომლებიც გზადაგზა მუსრავდა ძველსა და ახალის იმედს იძლეოდა. გრიგალმა სწრაფათ განვლო და მიწყნარდა... დადგა საქმის-დღეები, რეაქციის მოწყენილი დღეები... და იმ დროს, როცა რევოლიუციამ ბევრ რამეზე მიუთითა და ბევრი ახალი, ცოცხალი საკითხები წამოუყენა იმ ხალხს, რომელიც ხედავს აუცილებელ კანონ-წესიერებას და თანდათანობას, (послѣдовательность“)—რუსეთის უნიადაგო და ჭრელმა ინტელიგენციის უმეტესობამ ვერ შესძლო საზოგადოებრივი ცხოვრებაში განსაზღვრული ადგილის დაჭერა, ვერ გაირკვა თანამედროვე მომენტის სურათის ახსნა-შეგნებაში; მას გზა დაებნა და მარცხნივ და მარჯვნივ ეხეთქება, მას არ ესმება რა გუშინდელისა, ძრწის დღევანდელის წინაშე და ეშინია ხვალინდელი დღის.

„ბნელაში ყველა კატა რუხია“, ძველი მეტაფიზიკურათ დაყენებული კითხვის შესახებ ღმერთისა და ეშმაკის, სიყვარულისა და სიკვდილისა ახალი და საჭირბოროტო კითხვები გონია კაცს. თავისი მკითხველების ასეთ შეხედულებას ხატავენ რუსული ინტელიგენციის პოეტწარმომადგენელნი და გააქვთ სიტყვაკაზმული ლიტერატურის ბაზარზე ისეთი ნაწარმოებნი, რომლებიც „წყეულ“ საკითხებს ეხება და სავსეა ყოველგვარ ცნებათა და შეხედულებათა მოუნელებელი ხაოსით.

„ჩვენი ცხოვრების ღერძი—ეს სიყვარული და სიკვდილია“—ო, სწერდა სტ. პშიბიშევსკი თავის „მიწის-შვილთა“ წინა-სიტყვაობაში; ამასთანავე მას სიყვარული ესმოდა, როგორც „კოსმიური (ქვეყნიერების) სტიქია“, როგორც „ბედისწერა, რომელიც თავს დასწოლია კაცობრიობას“.

რუსეთის თანამედროვე მხატვრებმა თავისი შემოქმედების ერთათ-ერთ მოტივათ ხელახლა სიყვარული და სიკვდილი გაიხადეს. არა თუ გაიხადეს, კიდეც შემოაკოწიწეს მის გარშემო სხვადასხვა ფერის რაღაც ნაყარ-ნუყარები, რომ მწყობრ ღერძზე, რომელიც შექნა პოლონელმა დეკადენტმა, ამოვიდა მახინჯი დედაბერი, რომელიც ღაჟ-ფასიანი ფერ-უმარილით ითხიპნება, რომ ამის შემწეობით დაარწმუნოს სხვები თავის სიახალგაზდეში.

„აღრმავებენ რა“ ასე ერთი მეორეს, ეს ავტორები ცალი ხელით აჩეჩებენ ხელში მკითხველს სიკვდილის საფრთხობელას, ხატავენ „უმაღლესი „ფორმის“ სიყვარულს, რომელსაც შეუძლია ნუგეში სცეს ბედკრულ კაცობრიობას. „მცირეთა ამათ“ შესახებ ჩვენ არ ვილაპარაკებთ. ეროტიული გამოგონებანი ა. კამენსკისა, რომელიც თავის „Леда“-ში განსხვავებული გემოვნებით მოგვითხრობს თავისუფლების მოყვარე მანდილოსანზე, რომელიც თავის ქმრის სტუმრების წინაშე ევას სამოსელით გამოდის. ან აფიცერზე, რომელმაც ერთი დღის მოგზაურობის დროს „ოთხი“ უცნობი ქალი იშოვნა. კუზმინის საზიზღარი მოთხრობები („Крылья“, „Карточный домикъ“), რომლებშიაც გაისმის, ქედერს ქადაგება გომოსექსუალური სიყვარულის შესახებ; აწ განსვენებულ ჟურნალ „Перевалъ“-ში მოთავსებული პატარ-პატარა მოთხრობები a la „Знай“ ნილუსისა, ერთი სიტყვით, ყველა სამაგალითო ნიმუშები „ახალის“ უბოდიშო გამომგონებელთა ისე მკრთალი და უფერულია, რომ წაკითხვისთანავე გავიწყდება და არც კი გინდა გაიხსენო. ამ ნაწარმოებთა შესახებ ბევრსა სწერდენ—გაცილებით მეტს, ვინემ ღირსი იყო ისინი, რადგან ეს ქურუმნი, „დიდთა თავგადასახედთა“ თავის „სპეციალობაშიაც“ კი მეტის-მეტათ სუსტი გამოდგენ და სულ მცირედ მაინც სერიოზული შთაბეჭდილებას ვერ ახდენენ.

**იური დანაევი.**

(დასასრული იქნება)

*) „Буревѣстникъ“ და „Человѣкъ“ გორკის თხზულებებია.

საქმენი ბლომათ მოეპოება და აბა პროგრესი რა მისი საქმეა!..

ამას წინეთ ადგილობრივმა ზოგიერთმა ინტელიგენტმა მაზრის უფროსს განცხადება მიართვა სანოვაგის სიძვირისა და უქონლობის შესახებ. განცხადებამ დიდი აურ-ზაური გამოიწვია ადგილობრივ ბოქაულსა და გამომცხადებელთა შორის, კონფლიქტს გინება-დაბეზღება მოყვა და ბოლოს ინტელიგენტთა დამარცხებით გათავდა **უიმედო.**

## ოზურგეთი.

ვაჭრობის გამოცოცხლება... პარკის მყიდველნი და მათი „ოინები". კომისიის მოქმედება.—„თათბირი და შემდეგ ნადიმი". პარკის ფასის დაცემა.

ქალაქში აუარება ნედლი პარკი შემოაქვთ, რის წყალობით ვაჭრობა ცოტა არ იყოს გამოცოცხლდა. „ქინქრისა" ამოძრავებამ—ვაჭრებიც აამოძრავა, ნარდ-კარტის თამაშიც იკლო. წელს პარკის ფასი, შედარებით წარსულზე ზომიერია და მოსავალიც კარგი გამოდგა—თეთრი პარკი, ყვითელი 17 მ; თეთრი—16 მ. 50 კ. პარკის მყიდველნი უმთავრესათ ადგილობრივი ვაჭრებია, რომლებიც უღველივე ზომას ხმარობენ გარეშე მოსულ პირების გასაძევებლათ. მაგალითისთვის საკმარისია ქუთაისელი ურია მახაკა, რომელიც ფასების აწევის გამო კინაღამ ჯვარს აცვეს, და ეს უკანასკნელი კი იძულებული შეიქნა დროებით ვაჭრობა შეეწყვიტა.—ქალბი დეპეშის მიღება ფასების დაცემის შესახებ და მრავალი სხვა. ხომ ჩვეულებრივია, მარა მათ ხრიკებს კრიჭაში უდგია მეთვალყურე კომისია.—ეს კომისია დაუღალავად ცნობებს კრებს მახლობელ ქალაქებში და აწვდის გურიის სხვა-და სხვა დაბა-სოფლების პოდკომისიებს, არ სჯერდება დეპეშებს და სიმართლის გამოსარკვევათ გზავნის კაცს ქუთაისში.—ერთი სიტყვით, კომისია გულ-მოდგინეთ განაგრძობს მუშაობას.

— გულზე ხელ დაკრებილი არც მყიდველი ვაჭრებია არიან, 16 ივნისს, სადამოს „კონსპირატიულათ" ჩვენს „ვაჭრუკებს" თათბირი ქონიათ და შემდეგი დაუდგენიათ: „17-დან პარკის ფასები 15 მანეთი, წ ნააღმდეგ შემთხვევაში გაფიცვაო. აი მათი „ულტიმატუმი", რომლის განხორციელებას უკვე შეუდგენ 17-ს დილით. „ბოროტი ენები" გადმოგვცემენ, თითქო თათბირის შემდეგ ნადიმი გამართულა და ძალზედაც შებრუშებულან, რის წყალობით ხვევნა-კოცნას და პაიათებს დასასრული აღარ ქონდაო. აგრეთვე ისიც გადმოგვცეს, თითქოს ხსენებულმა ნადიმმა აუარება „კალმახები" შოინთქაო.

—

17 დილით ფასები მართლაც და 15 მ. ზევით აღარ ადის. აუარება პარკი ქუჩაში დგას, კომისია არ ანებებს ხალხს ამ ფასებში პარკის გაყიდვას. ამ რიგათ ვაჭრობა შეწყდა. საქმეში ადმინისტრაცია ჩ ერია, დაიბარა ყველა მყიდველნი და გამოუცხადა, რადგან თითქმის ყველგან ფასები აწეულია, ამიტომ თქვენც იმ ფასებში უნდა იყიდოთ, წინააღმდეგ შემთხვევაში ხელწერილი დადევით, რომ თქვენ აღარ იყიდით და მყიდველს სხვას მოგვიყვანთ. ამაზე არ სთანხმდებიან. იგზავნება დეპეშა ქუთაისში, მარა პასუხი არ სჩანს. გამყიდველნი გამოურკვეველ მდგომარეობაში არიან.—აუარება ხალხი სასწორის ირგვლივაა თავმოყრილი და მოუთმენლად ელოდება მყიდველს. დაბოლოს ხალხისავე თხოვნით ნაშუადღევის 5 ნახ. საათზედ ვაჭარი კალანდაძე იწყებს პარკის ყიდვას 15 მ. 20 კ. მასთანვე ერთად იწყებს ყიდვას ცეცხლაძე, გასაძე და ჩხატარაიშვილი. ამ სამ უკანასკნელს პოლიცია აპატიმრებს, მარა ღამის 9 საათზედ ისევ ანთავისუფლებს. ასეთია ჭყერ-ჭყერობით საქმის მდგომარეობა და ვნახოთ მომავალში რა იქნება.

**კოფე.**

## სასამართლო

„ზინგერის" საქმე.

„ზინგერის" ნიუ-იორკის კომპანიის რწმუნებულმა, ხარკოველმა ნაფიცმა ვექილმა ბ. ნ. კულიკოვმა კერძო ბრალდების წესით სთხოვა ბაქოს საოლქო სასამართლოს ბრალმდებელს პასუხის გებაში მიეცა ძმ. აიზიკა და ნაუმ რაგინსკები, რომელთაც ბაქოში სამი მაღაზია აქვთ, სადაც ყიდიან საკერავ მაშინებს და ამასთანავე, სარგებლობენ „ზინგერის" კომპანიის სავაჭრო ნიშანის მსგავსი ნიშნით.

რწმუნებულის სიტყვით ამას შედეგათ ის მოყოლია, რომ „ზინგერის" კამპანიას უზარალნია 10,000 მან., რის ანაზღაურება მან სასამართლოს წინაშე ითხოვა სამოქალაქო წესით.

სასამართლოში გამოცხადდა ნაუმ რაგინსკი და წარადგინა ძმისაგან ვექილობა. თავი დამნაშავეთ არ აღიარა.

საოლქო სასამართლომ დიდის ხნის თათბირის შემდეგ დაადგინა: ძმ. რაგინსკების მიერ გამოკიდული სავაჭრო ნიშანი ჩამოღებულ და მოსპობილ იქნას და თითონ ძმ. რაგინსკები დაპატიმრებულ იქნას ციხეში ორი თვით; და სანამ განაჩენი სისრულეში არ იქნება მოყვანილი, პოლიციის მხედველობის ქვეშ იქნან დატოვებული ძმ. რაგინსკები. („ზ.")

## თეატრი და ხელოვნება

**სახალხო სახლი.** კვირას ძმ. ზუბალაშვილების სახალხო სახლში წარმოდგენილ იქნა „ქოჩრიანი ტოროლა". პიესა 4 მოქ. თარგმანი გერმანულიდან ს. ტს.

პასუხის საგებ როლში გამოვიდა ქ. დეჟაგა (დენა). მან შესძლო გამკლავებოდა როლის სიძნელეს და კარგათაც ჩაატარა.

ბ. გოცირიძე (მუშა ალე) პირველ მოქმედებაში ცოტა არ იყოს სიტყვებს ყლაპავდა, რის გამო მისი ლაპარაკიდან სანახევროდ ვერა გავიგეთ რა, მაგრამ შემდეგ მოქმედებებში კი ეს ნაკლი თავიდან აიშორა და კარგადაც ჩაატარა.

კარგი იყვნენ ანანიაშვილი (ავგუსტი), მარა სამწუხაროთ მას ძალიან უშლის ხელს ხმის სისუსტე.

ბ. ჯაბაური (ალფელდი) ძალიან კარგს იზამს რომ ყურადღებას მიაქცევდეს კილოს და სიტყვების გამოთქმის სიდინჯეს.

სუსტი იყო ქ. ნებიერიძე (მუშის ქვრივი). ბაქრაძე (გერმანე) არ იყო თავის როლში.

მიუხედავათ ასეთი ნაკლებისა წარმოდგენა საერთოთ სათანადო ანსამბლით ჩატარდა.

ორიოდე სიტყვა დამსწრეებზე. მოქმედების დროს ხშირათ ისმოდა ადგილიდან დაიყვირებენ: „ხმა-მაღლაო", რომ გეგონებოდა ვინმე გიჟი შემოიჭრაო. საჭიროა საზოგადოება შეეჩვიოს თეატრში თავის დაჭერას.

ძალიან კარგს იზამს აგრეთვე თეატრის ადმინისტრაცია ფარდის ახდის შემდეგ არავის შემოუშვებდეს. ეს პირველ ხნებში ძალიან ძნელია, მარა საჭიროა ცოტა „აკურატნობასაც" შეეჩვიოს ჩვენი ხალხი. ამასთან საჭიროა ზომები იქნას მიღებული, რომ ყველა თავის ადგილზე იჯდეს; თორემ რას გავს ეს: პირველ მოქმედების შემდეგ სკამს ვეღარ ეშოვით და იძულებული ხარ ფეხზე იდგე, ისიც კარგი თუ იშოვე დასადგომი. ამას შეუძლია ხალხი დააფრთხოს.

წარმოდგენას ხალხი ძალიან ცოტა დაესწრო. ✕

## ე. ნინოშვილის ფონდი

„ჯეჯილის" რედაქციამ მიიღო საძგურ კარხკლისიდან სვიმონ მეხუზლასაგან შეკრებილი სადგურის მოსამსახურეთა შორის 3 მ. 25 კ. შემომწირველთა სია:

ფარ. სიმაშვილისაგან 50 კ.; დ. ძაგნიძესაგან 50 კ.; თ. ჟღენტისაგან 30 კ.; ს. და ბეს. სირბილაძესაგან 60 კ.; დათა და კოსტ. კალანდაძესაგან 50 კ. და სამ. მეხუზლასაგან 1 მ. (ფოსტის ხარჯის 15 კ. გამოღებით).

—

„ჯეჯილის" რედაქციამ მიიღო შეგროვილი მარიამ რუსიეშვილისაგან და ნოე მიქაძესაგან ქუთაისის ნოქართა და წვრილ ვაჭრებთა შორის 41 მ. 44 კ. გამოკლებულია უკვე სხვა-და სხვა ხარჯები 2 მ. 11 კ.

შემომწირველთა სია: თითო მანეთი: გაბრიელ ჯაკობია; მარიამ რუსიეშვილი (ვაჭარი); გრიგოლ ნორაკიძე (ვაჭარი); პლატონ ზუნაიშვილი; მიხეილ ორაგველიძე; ტრიფონ ბასილაძე (ვაჭარი); ვასილ ტყეშელაშვილი (ვაჭარი); ნოე მაქაძე; ალექსანდრე ხიდაშვილი (ვაჭარი); ხარიტონ ყენია, ფრანც ესხანოვი (ვაჭარი); ანტონ კილასონია (ვაჭარი); ძმები სააკოვები (ვაჭარი); სავლე წერეთელი (ვაჭარი);

ათ-ათი შაური; ვლადიმერ ცნობილაძე; ნესტორ კვარაცხელია (ვაჭარი); მიხაილ კემულარია (ვაჭარი); ივანე მეფისოვი; სამსონ გოგიბერიძე; ვარლამ იოსელიანი; ივანე ტრაპაიძე; ნიკო შერაზისძე კილასონია 60.; კოსტა ავალიშვილი; ვლასა წულაძე; ივანე ხოჯაშვილი (ვაჭარი); მელიტონ ა დალაძე; მელიტონ ბერიშვილი; ალექსანდრე ლოლიძე; პროკოფი გაგუნავა, ილიკო ჩხეიძე (ვაჭარი); მამასტი გახუნია; ივანე კუხიანიძე (ვაჭარი); მიხაილ კაპანაძე (ვაჭარი); იოსებ გუგუნავა; ემელიანე წულაძე; ვასილ ფაცეელია; ნიკოფორე ლექუთაძე; იოსებ გვეტაძე (ვაჭარი); თომა გაგუა; მელიტონ ასთიანი (ვაჭარი); ნესტორ ჯიშკარიანი (ვაჭარი); ბარნაბა ყუფარაძე; კირილე ჭავჭანიძე; ისაკო ჯიქია; კოლია ცაგარელი; ჭიჭიკო ბურჭულაძე (ვაჭარი) ნიკოლოზ ლორია; გიორგი ცინცაძე (ვაჭარი თეოფილე ალავიძე; ალექსანდრე ჩიხლაძე (ვაჭარი); სერაპიონ ჩიარძე 40.; ექვს-ექვსი შაური მიხაილ შარაშიძე; ვარლამ ბალანჩივაძე; სევერიანე იოსელიანი; ილია წიქარიძე; ალიოზა ნოზაძე; იაკობ ციბაძე (ვაჭარი); მიხაილ ლემურაია; ბესარიონ ათანასესძე გაბუნია; პორფილე ბერიშვილი; კოლია ბურჯანაძე; აქსენტი კვარაცხელია; გიორგი ანტონისძე შავლია; ერმილე მოწაფეა; კოსტა ჯაში; კოწია ბახტაძე; პლატონ ჯიქიძე; იოსებ მელია; იუსტინე ბალანჩივაძე; თეოფილე ჭიქიძე;

ფეხსაცმლების მომუშავეებისაგან შეგროვილი ნ. ფრუიძის მიერ. ნესტორ ფრუიძე 50 კ.; მელიტონ ჩირაძე 25 კ.; გრიშა ბეგალოვი 25 კ.; მეთოდე ჩაჩხიანი .25 კ.; ალექსანდრე ფხაკაძე 25 კ.; ვლადიმერ ზვაძე 20 კ.; კოსტა აბულაძე 25 კ.; იორამ რევიშვილი 20 კ.; ერისთო ჯოვსაძე 20 კ.; ვანიჩკა ნასარიძე 20 კ.; თეოფილე კერესელიძე 40 კ.; კოლია გოცირიძე 25 კ; ვარლამ ასათიანი 25 კ.; სილვესტრ მუშებში შეგროვილი ლადოს მიერ: ივანე გურიელიძე 40 კ.; ვლადიმერ კანკავა 20 კ.; ვასო სხირტლაძე 50 კ.: იასონ ომანაძე 50 კ.; იონა ჯანელიძე 15 კ.; ანდრო 20 კ.; სანდრო სულაქველიძე 25 კ.; ნიკო კასრელიძე 20 ნიკიფორე ლოლაბერიძე 30 კ.; გიორგი კეპულაძე 20 კ.; თეოფილე ლოლიძე 20 კ.;

—

„ჯეჯილის" რედაქციამ კიდევ მიიღო სერგეი ჯაფარიძისაგან 10 მან. და „დროების" რედაქციიდან 11 მ. 65 კ.; (შემომწირველთა სია დაბეჭდილი იყო № 1291)

იქიდანვე გადმოგვცეს შემოწირულებ 50 კ.; სულ 68 მ. 84 კ.; ლემდე იყო 1290 მ. 68 კ.; სულ შესდგა 1357 მ, 52 კ.;

## ღია წერილი

ბ. შავლო შარაშენიძეს.

„ჩვენი აზრის" მე 13 ნომერში მოთავსებული იყო წერილი ლ. გოგოძის მიერ ტობანიერის საზოგადოებიდან (ქუთ. მაზრ.) სადაც გოგოძე მოგაგონებდათ უკანასკნელად იმ ფულების გადაცემას, რომელიც შეგროვილია იმავე ტობანიერის წიგნთ-საცავ სამკითხველოს სასარგებლოდ და თქვენთან ინახებოდა რიცხვით 40 მან,; მას აქეთ ბევრჯერ მოგმართეს, როგორც სამკითხველოს გამგეობამ, აგრეთვე თვით ფულის შემწირველებმა, მაგრამ თქვენ არავითარ ყურადღებას არ აქცევდით და არც ანგარიშს უწევთ ხსენებულ სამკითხველოს კრიტიკულ მდგომარეობას უფულობის მხრით. სანამ სამკითხველოს ნებართვა არ იყო, თქვენ, კიდევაც, „სწუხდით" და გვისაყვედურებდით, რომ სამკითხველოს ნებართვისთვის არავინ ზრუნავს, რომ ხსენებული ფული ტყვილად გაჩერებული და სხვა,

ნებართვა და სამკითხველოც თითქმის ერთი წელიწადია არსებობს და მიუხედავათ ბევრი თხოვნა—მუდარისა თქვენ არავითარ პასუხს არ იძლევით. ვერ გამიგია, რას ნიშნავს ასეთი თქვენი დუმილი?! შეიძლება იმიტომ სწუხდით ტყვილად, რომ დარწმუნებული იყავით ნებართვას არ მივიღებდით და იმ ფულებს დანიშნულება აღარ ექნებოდა? ქართული ანდაზაა „მიბარებული მგელმა შეინახაო", არ ვიცი რატომ საჯაროდ არ იძლევით პასუხს და ანგარიშს არ აძლევთ ფულის შემწირველებს! საჭიროა პასუხი ჩქარა.

**ნარგანი.**

რედაქტორ-გამომცემელი

**ლ. ბ. დადიშქელიანი**

## განცხადებანი

**ბ. ნ. მიხ. გაჩეჩილაძეს!**

მე გამოგიწვიეთ სამედიატორო სამართალში, მაგრამ თქვენ მას გვერდი აუხვიეთ და კრინტიც არ დასძარით. ეხლა კი ათასნაირ ცილსა მწამებთ და ჭორებს ავრცელებთ ჩემზე. გიმეორებთ თუ მცირედი სიმართლე მაინც მოიპოვება თქვენში—გამოდით სამართალში. თუ არა და ცილსა და ჭორებს თავი დაანებეთ, თორემ დაიმსახურებთ შესაფერ სახელს.

**მ. გოგლიძე.**

## სიკვდილი ბაღლინჯოებს.

ახალი საშუალება კლაპოვინი, რომელიც სპობს ბაღლინჯოებს და მის კვერცხებს სულ ერთ მინუტში, რისთვისაც პირობას გაძლევთ. ჯერ არ ყოფილა ამგვარი საუკეთესო წამალი. ფლაკონი 35 კ. დარიგებასთან ახლავს. ვგზავნით ფას დადებ. თ. მოითხოვეთ კლაპოვინი ახობაძისა. **ერთად ერთი საწყობი თფილისში,** ვორონცოვის ძეგლის მახლობლათ, ნეკრასოვის ქუჩა № 14. აფთიაქებს პროც. 15—6

## ალმეზა




ალმეზა 2 წუთში აცხრობს კბილის ტკივილს. კარგავს პირის სიმყრალეს. ამაგრებს ღრძილებს, აჩერებს სისხლის დენას. აუცილებელი საჭიროა ყოველს ოჯახში. ვარჩენთ კანტორაში უფასოთ. ფასი ნორ. ფლ. 1 მ. 20 კ.; საცდელისა 40 კ. ვგზავნით ფასდადებით. დარიგება თან ახლავს. **საწყობის კანტორა თფილისში,** ვორონცოვის ძეგლის მახლობლათ, ნეკრასოვის ქუჩა № 14. 15—7

## სპერნატინ. დ ალმეზას

**საწყობი** გადატანილია ვორონცოვის ძეგლის მახლობლათ, **ნეკრას. ქ. № 14.**

**ახობაძე.**

30—1

## „მათრახ-სალამურის"

რედაქცია აცხადებს კორესპოდენტთა საყურადღებოთ, რომ რედაქციის ადრესი შემდეგია:

Тифлисъ, типографія т-ва „Шрома" **Василію Болквадзе,**

## ✦ იყიდება ✦

მიწა—263 კვად. საჟენი. საბურთალოზე, მალაკნების კოლონია. პირობებისათვის გთხოვთ მიმართოთ მალაკნის ქუჩა № 2, ნ. გიორგობიანს, ანუ ბელინსკი ქუჩა 19, ნ. კარანგოზოვს.

5—1

## დაბა ახალ-სენაკში

ქ-ნი. მ. დ. ფულარიას თაოსნობით იხსნება 4 კლასიანი საქალებო კერძო

## პროგიმნაზია,

გამოსაცდელი ეგზ. მენები დაიწყება 15 აგვისტოდან, ხოლო მეცადინეობა 1 სექტემბრიდან.

26—12.

მ ა ს წ ა ვ ლ ე ბ ე ლ ი

## თ. კიკვაძე

**ამზადებს** ქალ-ვაჟთ **გიმნაზიებისა, რეალური, საკომერციო, მიწის მზომელთა და იუნკერთა** სასწავლებლებისათვის, **კადეტთა კორპუსისა, სამასწავლებლო ინსტიტუტისა, საბუღალტერო** კურსებისათვის, **სახალხო სკოლის მასწავლებლათ და აფთიაქის საშეგირდოთ.**

**პატარა ბავშვების ჯგუფში** მიიღებიან ანბანის უცოდინარი ბავშვები.

**სპეციალური მომზადება ქართული გიმნაზიისათვის.**

**ადრესი:** ვერა, ოლღის ქუჩა ზემელის აფთიაქის ახლო, № 17. (0—4)

## მატარებლების მიმოსვლა

(12 ნოემბრიდან)

ფრჩხილებს გარეთ აღნიშნულია პეტერბურგის დრო, ფრჩხილებში თფილისისა.

**თფილისიდან გადის**

**ბათუმისაკენ:** 1) სწრაფი № 1, სადამოს 7 ს. 33 წ. (8 ს. 31 წ.).
2) საფოსტო № 3, დილის 8 ს. 6 წ. (9 ს. 4 წ.).
3) სამგზავრო № 5, ღამის 12 ს. 3 წ. (1 ს. 1 წ.).

**ბაქოსაკენ:** 1) სამგზავრო № 12, სადამოს 9 ს. 13 წ. (10 ს. 11 წ.).
2) საფოსტო № 4, სადამოს 10 ს. 40 წ. (11 ს. 38 წ.).
3) სამგზავრო № 6, დილის 6 ს. 38 წ. (7 ს. 36 წ.).

**ბორჯომამდე:** 1) სამგზავრო № 7|8, დილის 9 ს. (9 ს. 58 წ.).
2) სამგზავრო № 910, ნაშუადღევის 2 ს. 30 წ. (3 ს. 28 წ.).

**ჯულფამდე:** საფოსტო № 74|75, ღამის 12 ს. 46 წ. (1 წ. 44 წ.).

**ერევნამდე:** სამგზავრო და საქონლ. № 78|79, ნაშუადღევის 4 ს. (4 ს. 58 წ.).

**მცხეთამდე:** მარტო კვირა-უქმეების წინა დღით და კვირა უქმეებში 1) საგარაკო № 77, დილის 9 ს. 30 წ. (10 ს. 28 წ.).
2) საგარაკო № 77a, ნაშუადღევის 2 ს. (2 ს. 58 წ.).

**თფილისში მოდის**

**ბათუმიდან:** 1) სწრაფი № 2, დილის 3 ს. 38 ს. (9 ს. 36 წ.).
2) საფოსტო № 4, სადამოს 9 ს. 40 წ. (10 ს. 38 წ.).
3) სამგზავრო № 6, დილის 5 ს. 50 წ. (6 ს. 48 წ.).

**ბაქოდან:** 1) სამგზავრო № 11, დილის 9 ს. 47 წ. (10 ს. 45 წ.).
2) საფოსტო № 3, დილის 7 საათ. 8 წ. (8 ს. 6 წ.).
3) სამგზავრო № 5, ღამის 11 ს 13 წ. (12 ს. 11 წ.).

**ბორჯომიდან:** 1) სამგზავრო № 7|8, დილის 6 ს. 46 წ. (7 ს. 44 წ.).
2) სამგზავრო № 9|10, სადამოს 8 ს. 4 წ. (9 ს. 2 წ.).

**ჯულფიდან:** საფოსტო № 72|73, დილის 5 ს 28 წ. (6 ს. 26 წ.).

**ერევნიდან:** სამგზავრო და საქ., ნაშუადღევის 5 ს. 25 წ. (6 ს. 23 წ.).

**მცხეთიდან:** მხოლოდ კვირა-უქმეებსა და კვირა-უქმეების წინა დღის საგარაკო № 76a, ნაშუადღევის 1 ს. 30 წ. (2. ს. 28 წ.). საგარაკო № 6, სადამოს 7 ს. 20 წ. (8 ს. 18 წ..)

## ქართულ პოლიტიკური ეკონომია ენაზე

მიიღება მოწერა ა. ბოგდანოვის ცნობილ თხზულებაზე: „მოკლე კურსი ეკონომიურ მეცნიერებისა" (პოლიტიკური ეკონომია) (краткій курсъ экономической науки).

ხელის მოწერა გაგრძელდება პირველ აგვისტომდე. აგვისტოში შევუდგებით წიგნის დაბეჭდვას და დაურიგდება ხელის მომწერთ ენკენისთვის უკანასკნელ რიცხვებში. წიგნი დაიბეჭდება იმდენი, რამდენიც ხელის მომწერი იქნება, ამიტომ ცალკე გასასყიდათ არ გამოვა.

წიგნი იქნება დიდი ფორმატისა ($^{6}/_{10}$ სტამბურ კვადრატზე) დაახლოვებით 500 გვერდამდე და ეღირება ხელის მომწერთათვის 60 კაპ.; გადმოთარგმნილია **ი. ცდობილის** მიერ და გამოდის შვარცის და რაჟდენიძის რედაქტორობით. წიგნში ჩართული იქნება უცხო სიტყვათა ლექსიკონი და გამოცემის დაწვრილებითი ანგარიში, სანდო პირების შემოწმებით და ხელის მოწერით; გამოცემის ინიციატორთ მიზნათ არა აქვთ კომერციული მოსაზრება და ამიტომ იმედია, ვისაც აინტერესებს პოლიტიკური ეკონომიის საკითხები ხელის მოწერას არ დაიზარებს, მით უმეტეს, რომ წიგნი უმაგალითო იაფათ გამოდის; თუ ნავარაუდევ ხარჯს რამე გადარჩა, გადაეცემა ე. ნინოშვილის ფონდს მთარგმნელის სურვილისამებრ, რომელიც უძღვნის ამ თარგმანს ე. ნინოშვილის ხსოვნას.

ხელის მოწერა მიიღება თფილისში, წიგნის მაღაზიებში: წერა-კით. საზოგადოებისა (სასახლის ქუჩა), „ნოვაია რეჩი" (სახაზინო თეატრის პირდაპირ), ტარაიანცის, „გუტენბერგი-"ს და „ცოდნა"-ს (მერკვილაძესთან) სამკითხველოს. ვამგეებთან: ნაძალადევში, ვერაზე, ავჭალის ქუჩაზე № 39, ავლაბრის (ვარდის მოედანთან) და კაიდანოვის, (ვეტცელის სასტუმროს პირდაპირ) სტამბებში: „ცისკარი"-ს და „შრომა"-ში. რკინის გზის უმთავრეს სახელოსნოში და დეპოში ზ. ფირცხალავასთან, თამაშევის ქარვასლაში არტემ კონდახჩევის შკაფი № 37; რაფიელ ჯიბლაძესთან ტრამვაის სამკითხველოში დ. მკერვალიშვილთან და ტრამვაის კონდუქტორები: დ. ჩავლეიშვილთან და ჩიხუეშვილთან. ავჭალის ლიანდაგზე: გ. პანიევთან. და რევუტოვის ქ. № 20 სამკერვალო მაგდალინა ამხაძესთან.

## პ რ ო ვ ი ნ ც ი ე ბ შ ი

ახალსენაკში, წიგნის მაღაზია „სინათლეში"; აბაშაში ბაგრატ დოლიძესთან; ბალახანაში „Совѣтъ Съѣзда"-ს სამკითხველოში; ბაქოში „სატრუდნიკის" წიგნის მაღაზიაში; ბათუმში გიორგი მახარაძესთან; ბორჯომში რიკაძესთან; ბაღდადში ბუფეტში; გორში ა. კალანდაძესთან; განჯაში გ. ცხომელიძესთან; ერევანში ; ზესტაფონში ბუფეტში; ზუგდიდში ივ. ნაჭყებიასთან; თელავში მღ. ისიდორე პერტაიასთან; კიურდამირში ალექსი გუგუნავასთან; კავკავში ჭელიძესთან; ლანჩხუთში მიხაილოვში (ხაშური) ა. მამფორიასთან; მიუსუსლიაში (ბაქოს ლიანდაგზე) დ. კანკავასთან; ნაოლალევში არ. სულავასთან; ოზურგეთში თალაკვაძის წიგნის მაღაზიაში; ონში (რაჭა) ; სოხუმში ადგილობრივ კიოსკში დ. ჩარკვიანთან; სურამში ა. დორის-მელიქოვთან; სიღნაღში ი. ტერ-გეურქოვთან; სამტრედიაში წიგნის შკაფში; ფოთში ვანო ტუღუშთან; ქუთაისში წიგ. მაღ. „იმერეთი"; ყვირილაში წიგნ. მაღაზია „სორაპანი"; ყარაიაზში გ. ზოდელავასთან; ჩოხატაურში ცაგერში (ლეჩხუმი) ; ჭიათურაში ; ხონში ბახტაძის წიგნის მაღაზიაში. ცხინვალში სოსიკო პავრიშვილთან.

პროვინციის იმ ადგილებიდან, სადაც აგენტები არა გვყავს ხელისმომწერლებს შეუძლიათ გამოიწერონ 20 ივლისამდე წიგნები წინდაწინვე ფულის გამოგზავნით. თითო წიგნი გაგზავნით ეღირება 75 კ. ფულის მაგიერ შეიძლება შვიდ კაპეიკიანი ფოსტის მარკები. 11 ცალი ან 75 კაპეიკიანი ღერბის მარკა გამოგზავნონ უსათუოდ საგანგებო წერილი (заказн. письмо).

შემდეგი ადრესით: Тифлисъ, Василію Гадилія, 2-я Тумановская ул. № 34. აგენტურის შესახებ მოლაპარაკება სიტყვიერათ შეიძლება ამავე ადრესზე ყოველ დღე 3—6 საათამდე. (20—8)